29

№ ზ. წელიწადი პირველი.

1929

ფასი ყველგან 15 კაპ.

ყრომა


გაუმარჯოს
1-ლ
მაისს!

1
ОДР
ЛОТЕРЕЙНЫЙ БИЛЕТ
50 к.

რადიო-აპარატი 50 კაპეიკათ. ახლო ხანში მოსკოვიდან ადგილებზე დაიგზავნება პირველი საკავშირო საგლეხო ლატარიის ბილეთები. მოგებათა ღირებულება 750.000 მანეთს უდრის. მომავალი წლის თებერვალ-მარტში გათამაშებული იქნება 50.000-დე დეტექტორიანი მიმღები რადიო-აპარატი, 150 სამლამპიანი აპარატი და სხვ. ბილეთი ღირს 50 კაპ.

სურათზე რადიო-ლატარიის ბილეთის ნიმუში.

ამხ. აპანასევიჩი. საბჭოთა კავშირის ბერლინის სავაჭრო წარმომადგენლობის აგენტი, რომელიც, თუ პოლონეთის მთავრობას დაუჯერებთ, თავს დაესხა პოლონელ პოლიციელს ბარანოვიჩში. სასიკვდილოთ დასჭრა იგი და შემდეგ თვითმკვლელობის მიზნით დაიჭრა თავი. უცნაურ პირობებში მოკვდა პოლონეთის საავადმყოფოში.

იმპერიალისტური „განიარაღება“. იმპერიალისტები ბევრს ჭყვირიან განიარაღებაზე და ამავე დროს განაგრძობენ ახალ სამხედრო საშუალებათა მზადებას და არმიებისა და ფლოტის გაცნობას მომავალი ომის ტეხნიკასთან. ამ რამდენიმე ხნის წინათ პანამის არხთან გაიმართა შეერთ. შტატების არმიისა და ფლოტის გრანდიოზული მანევრები. სურათზე—უდიდესი დრედნოუტი „არკანზასი“ მანევრების დროს პანამის არხში.



წარსული წლის ზაფხულზე ამერიკელი მფრინავი ბერდი ხომალდით „სიტი ოფ ნიუ-იორკ“ გაემგზავრა ანტარქტიკის (სამხრეთ-პოლიარული რაიონის) გამოსაკვლევათ და, როგორც მკითხველებმა იციან, ანტარქტიკის მთელი რიგი პუნქტები შეერთებული შტატების საკუთრებათ გამოაცხადა, რამაც ინგლისის პროტესტი გამოიწვია.

სურათზე—ბერდის ექსპედიციის ხომალდი „სიტი ოფ ნიუ-იორკ“.

12 აპრილს გარდაიცვალა ცნობილი იაპონელი სახელმწიფო მოღვაწე გრაფი გოტო. თუმცა გრაფი გოტო თავისი სოციალური მდგომარეობისა და მსოფლმხედველობით უცხო იყო ჩვენთვის, მაგრამ მიუხედავათ ამისა, პატივსცემით სარგებლობდა საბჭ. კავშირში, როგორც სახელმწიფო მოღვაწე, რომელმაც შეიგნო საბჭოთა კავშირის წინაალმდეგ ინტრიგების პოლიტიკის წარმოების მავნებლობა და დაუღალავად მუშაობდა იაპონია-საბჭოთა კავშირს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის დასამყარებლად.

პოლკოვნიკი ბარკერი გამოჩენილი პიროვნება იყო ლონდონში. მას ეკუთვნის ინგლისის ფაშისტთა ორგანიზაციის მოწყობის „დამსახურება“, მჭიდრო კავშირი ჰქონდა მუბლმაგართა ლიდერებთან. და აი, ამას წინათ გამოქვეყნდა სენსაციური ცნობა, რომ პოლკოვნიკი ბარკერი არის ქალი—ვარერია სმიტ, ვიღაც ავსტრიელი ჯარისკაცის ყოფილი ცოლი, პასუხისგებაში მიცემული სხვა და აფიორებისათვის. სურათზე—პოლკოვნიკი ბარკერი, იგივე ვალერია სმიტ.

ყველაზე უფრო მაღალი ქალი ამერიკაში. მისი სიმაღლე უდრის 6 ფუტსა და 6 დიუმს. მის გვერდით, შესადარებლად, საშუალო ტანის ქალი.



სპეციალურად დამზადებული ავტომობილი, რომლითაც ცნობილი ინგლისელი სპორტსმენი კემპბელი აპირებს სისწრაფის ახალი რეკორდის დამყარებას. როგორც „დროშის“ მკითხველებმა იციან ავტომობილის სისწრაფის რეკორდი ამჟამად ეკუთვნის სპორტსმენ სიგრევს, რომელმაც ავტომობილ „ოქროს ისრით“ საათში 300 კილომეტრი გაიარა.

უმსუბუქესი ავტომობილი დაამზადეს ამ რამდენიმე ხნის წინათ შეერთებულ შტატებში. იგი მთლიანად უმსუბუქეს ლითონ დიურალიუმიდან შესდგება, იწონის 110 კილოგრამს და ღირს 500 დოლარი. ავტომობილს თავისუფლად შეუძლია ორი მგზავრის გადაყვანა.

ეს ვეებერთელა შენობა ქ. ჩიკაგოში (შეერთ. შტატები) ქუჩის ერთი მხარიდან გადაიტანის მეორეზე დაუნგრეველად და მთლიანად. სხვადასხვა რთული ტეხნიკური მოწყობილებებით ეს ოპერაცია მოახერხა ორასმა მუშამ.

68

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ტფილისი

დროშა

დ-76.

№ 8. 1929 წ. 1 მაისი

მშრომელთა დიადი მსოფლიო დღესასწაული—1 მაისი

მიხა ცხაკაია

პირველი მაისის—მუშათა კლასის სოლიდარობის, კაპიტალიზმის და მილიტარიზმის წინააღმდეგ, 8 საათის სამუშაო დღისათვის ბრძოლის ეს დღესასწაული დაწესებულ იქნა მეორე ინტერნაციონალის პირველ კონგრესზე, პარიზში, 1889 წ.

ჯერ კიდევ მანამ, სანამ ეს დღესასწაული დაწესებული იქნებოდა საერთაშორისო მასშტაბით, საპირველმაისო დროშა შეღებილი იყო შეერთებული შტატების მოწინავე მუშების სისხლით,

საპირველმაისო დღესასწაულის იდეამ მხურვალე გამოძახილი ჰპოვა მოწინავე მუშებში. მისი მნიშვნელობა, როგორც კლასობრივი ბრძოლის დღესასწაულის, იზრდებოდა პროლეტარული მასების შეგნებაში.

კარლ კაუცკი, რომელიც იმ დროს ჯერ კიდევ მარქსისტი იყო, სწერდა: „პირველი მაისი არის არა მარტო პროლეტარული რიგების დათვალიერება, არამედ ომის გამოცხადებაც და ამ დღეს ჩვენი ბრძოლის ყიჟინა უნდა იყოს: —„ომი—ომს“.

ამავე დროს კი, მეორე ინტერნაციონალის ხელმძღვანელობით, კაუცკის მეთაურობით, სადაც იზრდებოდა და ვითარდებოდა საძაგელი ოპორტუნიზმი, ჩქარა იჩინა თავი სრულიად საწინააღმდეგო დამოკიდებულებამ საპირველმაისო დღესასწაულისადმი, განსაკუთრებით პირველი იმპერიალისტური ომის—1914—1918 წლების პერიოდში.

ასე, მაგალითად, 1915 წელს მეორე ინტერნაციონალის შემთანხმებლური პარტიები იქამდე მივიდნენ, რომ მოუწოდებდნენ მუშებს სრულიად უარი ეთქვათ საპირველმაისო დემონსტრაციაზე „სამშობლოს დაცვისა“ და „სამოქალაქო ზავის“ გულისათვის. მაგრამ წინააღმდეგ რეფორმისტების სურვილისა და ღონისძიებებისა,—საპირველმაისო დღესასწაულს ჰქონდა განსაცვიფრებელი ცოცხალი ხასიათი, როგორც საერთაშორისო პროლეტარიატის რევოლიუციონური ბრძოლის დღესასწაულს...

მრავალ ქვეყნებში პირველი მაისი ხდება ბრძოლის დღეთ არა მარტო საერთო მოთხოვნილებებისათვის, არამედ ყველა იმ ლოზუნგებისათვის, რომელთაც წარმოშობს კლასთა ბრძოლის განვითარება ამა თუ იმ ქვეყანაში.

⁂

სულ სხვანაირად მიდიოდა საქმე ჩვენს ქვეყანაში. პირველი მაისის დღესასწაული მტკიცედ არის დაკავშირებული რუსეთის პროლეტარიატის ბრძოლასთან მეფის თვითმპყრობელობისა და საკუთარი ქვეყნის ბურჟუაზიის წინააღმდეგ 1890 წლიდან დაწყებული პირველმაისობა უფრო და უფრო აერთიანებს პროლეტარიატის მოწინავე მასებს თვითმპყრობელობასთან საბრძოლველად, წლიდან წლამდე რევოლიუციონური მოძრაობა ხდება უფრო გაბედული და ინტენსიური...

განსაკუთრებით ფართე ხასიათი მიიღო საპირველმაისო დღესასწაულმა 1905 წ.

მასების ეს რევოლიუციონური აღტყინება თითქო იანვრის დღეების—9/22 რიცხვის - ე. წ. სისხლიან კვირის“ გაგრძელება იყო.

საპირველმაისო დემონსტრაციები გადაიქცნენ სრულიად რუსეთის მრავალნაციონალურ მუშათა კლასის ბრძოლის ერთ-ერთ ფორმად... წარსული საუკუნის ოცხმოცდაათიან წლების პირველი დღეებიდანვე გაჩნდა პირველი სამაისო პროკლამაციები, იმართება აშკარა გამოსვლები. თვითმპყრობელობა აღელდა. დაიწყო ჩხრეკა-დაპატიმრებანი. მაგრამ ახალ საუკუნის დამდეგიდან უკვე აღარ იყო ძალა, რომელსაც შეეძლო შეეჩერებია პროლეტარიატის ბრძოლის გაზაფხულის მღელვარე ნაკადი, განსაკუთრებით, როცა თანდათანობით მოძრაობაში ებმებოდა ღარიბესი გლეხობაც.

ლენინი უკეთებდა რა ჯამს 1912 წ., უკვე პირველი რევოლიუციის შემდეგ, შავი რეაქციის პერიოდში რუსეთში გამართულ მაისობის შედეგებს,—სწერდა: „სრულიად რუსეთის პროლეტარიატის გრანდიოზულმა სამაისო გაფიცვამ და მასთან დაკავშირებულმა დემონსტრაციებმა ქუჩებში, რევოლიუციონურმა პროკლამაციებმა და რევოლიუციონურმა სიტყვებმა მასების წინაშე ნათლად დაამტკიცეს, რომ რუსეთი შევიდა რევოლიუციის განვითარების პერიოდში“.

⁂

1917 წლის თებერვალში მუშებმა და ჯარისკაცებმა მოიშორეს მეფის უღელი. 1917 წლის პირველი მაისი წარმოადგენს განსაკუთრებით მნიშვნელოვან დატას, როგორც რევოლიუციონური მოძრაობის ისტორიაში, ისე წითელ მაისობათა ისტორიაში.

თებერვალ-მარტის რევოლიუციას მოჰყვა დიადი ოქტომბერი და 1918 წლის პირველ მაისს ყოფილი რუსეთის იმპერიის პროლეტარიატი პირველად დღესასწაულობდა ამ დღეს, როგორც გაბატონებული და მბრძანებელი კლასი საბჭოთა დროშის ქვეშ. ამ დღისათვის უკვე ცხოვრებაში იყო გატარებული წინანდელი ბრძოლების ლოზუნგი პირველ მაისის დღეს—„რვა საათის სამუშაო დღე“, თვითმპყრობელობის დამხობა და საერთო სახალხო პროტესტი ომისა და საერთოდ მილიტარიზმის წინააღმდეგ,—ყველაფერი ეს მიღწეული იყო ჩვენში... ახალი, უკვე უფრო გრანდიოზული ამოცანები დაისვა საბჭოთა კავშირის მშრომელთა წინაშე: ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაცია, მოსავლიანობის გადიდება, გადასვლა 7 საათის სამუშაო დღეზე და საერთოდ მთელი სამეურნეო და კულტურულ-საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნა სოციალისტურ საფუძვლებზე.

იმ დროს, როცა საბჭოთა ხელისუფლება სოციალიზმის მშენებლობით შეუდგა საძირკვლის ჩაყრას მომავალი კომუნისტური წყობილებისათვის დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე, დედამიწის ხუთ მეექვსედ ნაწილზე—ბურჟუაზიულ ქვეყნებში—იზრდება მშრომელთა საშინელი მტაცებლური ექსპლოატაცია.

საჭიროა მშრომელ პროლეტარების და მშრომელ გლეხების,—კოლონიებისა და ნახევრათ კოლონიების დაჩაგრულ ხალხებთან ერთად,—გამოგლეჯა ექსპლოატატორთა კლანჭებიდან და მეორე – მენშევიკურ-შემთანხმებლურ და ამსტერდამის რეფორმისტულ ანტიმუშურ „ინტერნაციონალის“ გავლენიდან...

სოციალ-დემოკრატები — იმპერიალისტების მთავარი დასაყრდენია მშრომელი მასების ამ ექსპლოატაციაში, ახალი ომების მზადებაში საბჭოთა კავშირზე თავდასხმისათვის...

მუშათა კლასი კომინტერნის დროშით ახალ იმპერიალისტურ ომს გადააქცევს სამოქალაქო ომათ პროლეტარიატის დიქტატურისათვის, მსოფლიო ოქტომბრისათვის...

მხოლოდ საერთაშორისო პროლეტარული რევოლიუცია მოუღებს ბოლოს შეიარაღებათა ზრდას და ომებს. კელოგის პაკტი ბურჟუაზიულ მთავრობათა ხელში—მხოლოდ ფარისევლური ნიღაბია ახალი ომების მოსამზადებლად...

თანამედროვე იმპერიალიზმის ყველა დამა-



ყველა ქვეყნის მუშებო, შეერთდით!

გაუმარჯოს რვა საათის სამუშაო დღეს!!

პირველ მაისობა.



Дозволено Цензурою, Тифлисъ, [illegible] Декабря 1898 г.—Батумъ, Типографія [illegible] и К°

პირველი საპირველმაისო პროკლამაცია ქართულ ენაზე (1898 წ.). პროკლამაციის დასაწყისი და ბოლო ნაწილი.

საინტერესოა, თუ როგორ ამასხარავებდნენ რევოლიუციონერები ჟანდარმებსა და პოლიციას: არალეგალურად დაბეჭდილ პროკლამაციას ქვეშ რუსულად გაკეთებული აქვს წარწერა: „ნებადართულია ცენზურის მიერ. სტამბა—ძმები და კომპ.“

ხასიათებელი ნიშნები მოწმობენ სამხედრო საშიშროების ზრდას, წინააღმდეგ ერთა ლიგის და მსოფლიო სოციალ-დემოკრატიის პაციფისლური ლაყბობისა.

ბრძოლა იმპერიალიზმისა და მილიტარიზმის წინააღმდეგ, საბჭოთა კავშირის დასაცავად, წარმოადგენს წითელი მაისობის—პირველი მაისის—ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ლოზუნგს 1929 წელშიც... კომინტერნი—ჩაგრულთა ერთად ერთი ბელადი და ხელმძღვანელი, ყველა ქვეყნების პროლეტარებს, კოლონიებისა და ნახევრად კოლონიების დაჩაგრულ ხალხებს და კაპიტალისტური ქვეყნების არმიების ჯარისკაცებს მოუწოდებს აქტიურად დაუჭირონ მხარი რევოლუციონურ მოძრაობას და ემზადონ ერთად-ერთ სამართლიან ომისთვის - მსოფლიო იმპერიალიზმისა და თავისი ბურჟუაზიის წინააღმდეგ. მხოლოდ საბჭოთა კავშირის წითელი-არმია იცავს არა მჩაგვრელებს, არამედ ჩაგრულთ. წითელი არმია—ჩაგრულთა ფარი და აჯანყებულთა ხმალი.



1886 წლის 1-ლ მაისს ჩიკაგოში (შეერ თ. შტატები) მომხდარ მუშათა გამოსვლის მეთაურთა სიკვდილით დასჯის მომენტი (ძველი გრავიურიდან, რომელიც ინახება მარქსისა და ენგელსის ინსტიტუტში, მოსკოვში).

იგი არის ფხიზელი დარაჯი ოქტომბრის მონაპოვრების, საბჭოთა კავშირის! პირველ მაისს—ახალგაზრდა წითელ-არმიელები მთელი მსოფლიო მუშათა კლასის წინაშე ფიცს სდებენ—მტკიცედ დაიცვან საბჭოთა კავშირი—მსოფლიო რევოლუციის დასაყრდენი. წითელი არმია ამზადებს შეგნებულ მებრძოლებს, სოციალიზმის მშენებლებს ქალაქად და სოფლად...

1-ლი მაისის დღეს საერთაშორისო პროლეტარიატი გამოვა ახალი ომის საფრთხის წინანაალმდეგ, რომლის საშიშროება არასოდეს ისე მოახლოვებული არ ყოფილა, როგორც ამჟამად... კაპიტალისტური ქვეყნების ბურჟუაზია, რომელიც საბოლოო ფაშიზაციას განიცდის, თავის არმიებს ამზადებს არა მარტო იმპერიალისტური ომებისა- და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ კონტრ - რევოლუციონური გალაშქრებისათვის, არამედ აგრეთვე უშუალოდ საბრძოლველად მსოფლიო პროლეტარულ რევოლუციასთან, რომელიც ვითარდება თითეულ ამ ქვეყანაში.

უკვე აგორდა რევოლუციონური ბრძოლის ახალი გრანდიოზული ტალღა აღმოსავლეთში (ინდოეთი)... გერმანიაში, საფრანგეთში, ინგლისში, შეერთებულ შტატებში, პოლონეთში და სხვ. მწიფდება პირობები აშკარა შავრაზმულ ურეაქციონერეს ფაშისტური დიქტატურისათვის...

ამავე დროს, კლასობრივი ბრძოლები, რომლებიც თანდათანობით მწვავდება, ეკონომიურ ბრძოლაში აბამენ პროფკავშირებში დაურაზმავ მუშების ახალ-ახალ ფენებს. ერთიანი პროლეტარული ფრონტი შეიძლება განხორციელებული იქნეს მხოლოდ ქვევიდან, ბრძოლაში მენშევიკ სოციალ-დემოკრატების, მეორე ინტერნაციონალის ხელმძღვანელების და ამსტერდამის ინტერნაციონალში შემავალ პროფკავშირთა ბიუროკრატიის წინააღმდეგ...

საპირველმაისო დღესასწაული არის მუშათა კლასის ნებისყოფის მთლიანობის დღესასწაული. საჭიროა, რომ მთელ მსოფლიოში წარმოიშვან საბჭოთა რესპუბლიკები, რომ მთელი მსოფლიო გადაიქცეს განთავისუფლებული შრომის ერთ თავისუფალ კავშირად...

1929 წ. ამ პირველი მაისის დღეს მსოფლიოს ყველა ქვეყნების მუშებმა უნდა მოიგონონ, რომ ისინი არიან ერთი ოჯახის, ერთი კლასის შვილები და, მაშასადამე, მათ აქვთ ერთი მიზანი — მოსპობა ყოველგვარი მონობის, ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრის, კაპიტალისტური წყობილების და შექმნა ყველა მშრომელთა საერთო ძმობის—კომუნიზმის განხორციელება. მარქსის და ლენინის უკვდავმა გენიამ გვიჩვენა გზა, რომელიც წაგვიყვანს მსოფლიო კომუნიზმისაკენ. ეს გზაა — ძლევამოსილი მსოფლიო პროლეტარული რევოლუცია.

გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარიატის ბელადს და მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის დიდ შტაბს—კომუნისტურ ინტერნაციონალს!

გაუმარჯოს შრომის საბოლოო გამარჯვებას კაპიტალზე!

გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების საერთაშორისო კავშირს!

წინ—მებრძოლი გადაუხრელი და შეუცვლელი ლენინიზმის—რევოლუციონური მარქსიზმის—მეცნიერული კომუნიზმის დროში !

ძირს ძირმომპალი კაპიტალიზმი და მტაცებლური იმპერიალიზმი!

პროლეტარიატის დიქტატურისათვის,— მუშების მტკიცე კავშირისათვის კულაკებისა და ნეპმანების წინააღმდეგ, ქალაქისა და სოფლის ყველა კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ!

აღმოსავლეთის, ყველა კოლონიების ჩაგრულ ხალხთა თავისუფლებისათვის!

საბჭოთა კავშირის დასაცავად, — ომი ომს,— დიად სამოქალაქო ომისათვის,—ძირს იმპერიალისტური ომები!

მთელი ქვეყნების მებრძოლ პროლეტარების გაერთიანებისათვის კოლონიების და ნახევრად კოლონიების ჩაგრულ მშრომელებთან უკანასკნელ გადამწყვეტ ბრძოლაში ყველა ექსპლოატატორების წინააღმდეგ!

— ამ ლოზუნგებით და კომინტერნის დროშით გამოვლენ ყველა ქვეყნების პროლეტარები და იმპერიალიზმის მიერ დაჩაგრული მთელი კაცობრიობა, რომ 1929 წ. 1-ლ მაისის წინასწარი გადამწყვეტი ბრძოლა დაიწყონ მსოფლიო ფაშისტურ ბურჟუაზიასთან და მათ თანამებრძოლ საერთაშორისო მენშევიკებთან—სოციალ-დემოკრატებთან.., ძირს ისინი!

გაუმარჯოს საბჭოების და კომუნიზმის გამარჯვებას მთელს მსოფლიოში!

მიხა ცხაკაია.

თეთრი ჯვრიდან წითელ დროშისაკენ

მაქს ჰელცი

თარგმნილი გერმანულიდან გერონტი ქიქოძის მიერ.

მიძღვნა

თავდაპირველათ მინდოდა ამ წიგნში მხოლოდ ჩემი კატორღაში ყოფნა ამეწერა. მაგრამ შეუძლებელია ამ რვა წლის გამოთიშვა წინანდელი ამბებიდან: ამ ხანში განცდილი ამბები ოცდაათ წლამდე მიღებული გამოცდილების და შთაბეჭდილებების შედეგს წარმოადგენენ.

ჩემი წიგნის პირველ ნაწილს, რომელიც ჩემი ახალგაზრდობისა, ომისა და რევოლუციის დროის განცდებს შეიცავს და იმ განვითარებას ხატავს, რომელმაც მე — ქრისტიანი ჭაბუკი — კლასობრივათ შეგნებულ რევოლუციონერათ მაქცია, მივუძღვნი გერმანელ და რუს მუშებს: მათ შორის აღმოვაჩინე პროლეტარული განმანთავისუფლებელი ბრძოლის დიადი იდეა, ხოლო ეს იდეა იმ გზის მაჩვენებელი იყო, რომელმაც ღვთის მოსავობისა და ინდივიდუალური მისწრაფებების სფეროდან გამომიყვანა და ჩემი ადგილი და ჩემი ვალდებულება მიჩვენა ჩაგრულთა რიგებს შორის. მათი მაგალითი ანაყოფიერებდა ჩემს აზროვნებას და აღვივებდა ჩემს ნებისყოფას. სულიერმა კავშირმა მათთან შინაგანი სიმტკიცე მომანიჭა, უამისოდ ვერ შევსძლებდი ბრძოლის წარმოებას და ვერ ავიტანდი მის შედეგს—რვა მკაცრ წელიწადს კატორღაში. მე მინდა მათ, იმ ლეგენდების ადგილას, რომელსაც ჩემს შესახებ მტრები და ხანდახან მოკეთეებიც ავრცელებენ, ჩემი აზროვნების და მოქმედების მართალი ამბავი ვუამბო.

ჩემი წიგნის მეორე ნაწილს, ჩემს მოგონებებს საკატორღო ციხის კედლებში გატარებული „ცხოვრების" შესახებ, მე მივუძღვნი არა მარტო ყველა პოლიტიკურ ტუსაღს, არამედ აგრეთვე სისხლის სამართლით დასჯილებსაც, ქურდებს, ფიცის გამტეხებს, სქესობრივ დამნაშავეებს, ოღრაშებს, მკვლელებს, ოინბაზებს, ყველა იმათ, ვინც რამდენიმე წლითა თუ ათი წლით ცოცხლივ დამარხულია. ჩემთვის სულ ერთია რით აიხსნება მათი „დანაშაული", „თანდაყოლილი" ხასიათით, თუ სოციალური გარემოთი: მე ისინი ყველანი მიყვარან. მრავალი იმ საძაგელი და შემზარავი თვისების მიუხედავათ, რომელიც მე სისხლის სამართლის დამნაშავეთა შორის აღმომიჩენია. ეს ადამიანები ჩემთვის უფრო ახლობელნი არიან, ვიდრე ზოგიერთი ზრდილი და ჭკუადამჯდარი ადამიანი, რომელმაც ჩემი განთავისუფლების შემდეგ, როგორც ვითომდა მეგობარმა, ხელი გამომიწოდა ჩამოსართმევად.

ბურჟუაზიული საზოგადოებიდან გაძევებულთა შორის ეგოიზმი, მატყუარობა, შური, გაბოროტება და სიმკაცრე პირდაპირი და გაშიშვლებულია. ყოველ შემთხვევაში ისინი ნიღაბს არ ატარებენ. მათ ცხოვრებამ დაამდო ის ჭრილობები და იარები, ის საზიზღარი დაღები, რომლითაც მათ სხეულსა და მათს სულს ამჩნევია. ცხოვრება კი თვით ჩვენ ვართ. მაშასადამე ჩვენ ყველანი პასუხისმგებელნი ვართ მათთან ერთათ და არავითარი საბაბი არ გვაქვს გულზვიადობა გამოვიჩინოთ.

თუ საჭირო იქნა, უკლასო საზოგადოებაც თავს დაიცავს ბოროტგანმზრახველებისაგან, მაგრამ დასჯა, სამაგიეროს გადახდისა თუ გაუმჯობესების მიზნით, ბურჟუაზიული კლასობრივი სახელმწიფოს ზომაა. ჩემ მიერ კატორღაში განცდილი ამბები მხოლოდ ერთი ნაწილი იყო იმ სინამდვილისა, რომელსაც კაპიტალისტური საზოგადოება მაღალფარდოვან სიტყვების, სამართლიანობის, ჰუმანური დასჯის, მზრუნველობის, ზნეობრივი ამაღლების უკან მალავს.

მე ვხატავ ჩემს განცდებს, რათა მკითხველებში, უწინარეს ყოვლისა ახალგაზრდებსა და გულგაუქვავებლებში, გავაღვივო და გავამახვილო ბრძოლის ნებისყოფა ბურჟუაზიული კლასობრივი ბატონობის წინააღმდეგ.

ამასთანავე აქ მკითხველი ბევრ რამეს ისეთს იპოვის, რაც მხოლოდ პირადათ მე შემეხება. ეს აუცილებელია, მიტომ, რომ ყოველივე პირადი, აგრეთვე საერთო იყო. მარტო მე როდი მყოლია მძიმე შრომით წელგაწყვეტილი, ღარიბი მშობლები, მარტო მე როდი მწკეპლავდნენ, როგორც მოჯამაგირეს, მარტო მე როდი გავქცეულვარ და მშიერ მწყურვალს სამუშაო მიძებნია, მარტო მე როდი მწამდა ღმერთი, ომში წავსულვარ, თვალები ამხვევია და ჩაგრულთათვის თოფი მიმიშვერია, მარტო მე როდი ვმდგარვარ კლასობრივი მსაჯულების წინაშე და ტიტველი და გასისხლიანებული ვწოლვილვარ გერმანიის კატორღის საკნებში! ათასებს იგივე განუცდიათ და ამგვარათვე უტანჯიათ. ისინი სდუმან. მე მათი სახელით ვლაპარაკობ.

მაქს ჰელცი.



მაქს ჰელცი

ბავშვობა და პირველი მუშაობის წლები სოფლათ

არიან ადამიანები, რომელთაც სიკვდილამდე ყოველი წვრილმანი ახსოვთ ბავშვობის დროიდან. ზოგიერთს კიდევ ბავშვობის მოგონებანი თითქმის სრულიად ავიწყდება სანამ ცხოვრების შუა გზას მიაღწევდეს.

მე პირადათ ძლიერ ცოტა რამ მაგონდება ჩემი ცხოვრების პირველი წლებიდან. მაგრამ ზოგიერთმა განცდამ უეჭველათ გადამჭრელი გავლენა იქონია ჩემ შემდგომს განვითარებაზე.

მე აღარ მახსოვს ჩემი სამშობლო სოფელი მორიტი, რიზას მახლობლათ, სადაც 1889 წლის 14 ოქტომბერს დავიბადე. ორ წლისა არც კი ვიყავი, როცა ; ეს ადგილი დავსტოვე, მიტომ რომ მამაჩემი, რომელიც იქ მეწისქვილეთ იყო, ჰირშშტაინში გადასახლდა, მდინარე ელბის ნაპირას.

ჰირშშტაინი თავისი დიდებული ციხე კოშკით, რომელსაც ხომალდის ფორმა აქვს და მაღალ ფრიალო კლდეზეა აშენებული ელბის ნაპირას, მაშინ გროსჰაინელი ჰუსარების უფროსს, კრუზიუსს ეკუთნოდა. ამ უზარმაზარ მამულში მამაჩემი რამდენიმე წლის განმავლობაში მოჯამაგირეთ იყო, ხოლო დედაჩემი დღიურათ მუშაობდა.

მახსოვს, როცა ოთხი წლის ბიჭი ვიყავი, მამაჩემისთვის სადილი ან სამხარი მიმქონდა სამუშაოზე; სამაგიეროთ მამა მუშა ცხენზე შემსვამდა ხოლმე.

რადგან არც მამას და არც დედას არ შეეძლო ჩვენთან დარჩენა (ჩვენ უკვე ოთხი და-ძმა ვიყავით), ხშირათ დილიდან საღამომდე ოთახში გვკეტავდნენ, რათა გარეთ არ გვეცელქნა; ხოლო თუ შინ გავაფუჭებდით რასმე, სასტიკათ გვცემდნენ.

არც ბავშვობის დროს მიფიქრია და არც ახლა ვფიქრობ, რომ ჩემი მშობლები ასე მკაცრათ, გულქვაობის წყალობით ან სიყვარულის უქონლობის გამო გვსჯიდნენ. მაშინ სხვა აღზრდის მეთოდები არ არსებობდა, განსაკუთრებით სოფლათ. ჩვენს დედმამას წესიერება უყვარდათ და ეშინოდათ ჩვენს ცელქობას და უთაობას ან მეზობლები არ დაეზიანებიათ ან მამულის პატრონი.

არასოდეს არ დამავიწყდება, როგორ სცდილობდა დედაჩემი ანბანი ესწავლებინა, სანამ სოფლის სკოლაში დავიწყებდი სიარულს. რადგან იგი იძულებული იყო ყოველდღე მძიმე სამუშაო შეესრულებია ყანაში თუ მინდორში, ამას გარდა სადილი მოემზადებია და ტანისამოსი დაეკერებია ოთხი ბავშვისთვის (რომელთაც შემდეგ კიდევ ორი მოემატა), რასაკვირველია, დრო აღარ რჩებოდა, რათა ჩვენი სულიერი და ფიზიკური განვითარებისთვის ეზრუნა.

შემდეგ სოფელ ბარას სკოლაში შევედი; ჰირშშტაინიდან იქამდე ერთი საათის სავალი იყო. ცოტა ხნის შემდეგ მამაჩემმა მიატოვა თავისი ადგილი ჰირშშტაინის მამულში, და მთელი ჩვენი ოჯახი ავეჯეულობითა და ჭურჭლეულობით ერთ პატარა საბაროზე მოთავსდა, რათა სოფელ პისტევიცში გადასახლებულიყო; იქ მამაჩემმა კიდევ უფრო დიდ მამულში დაიწყო მუშაობა, როგორც მოჯამაგირემ და დღიურმა მუშამ. პისტვიცში მამას უბედურება შეემთხვა, მუშაობის დროს ცხენებშებმულა საბარომ გადაუარა და იგი იძულებული გახდა რამდენიმე თვე ლოგინში გაეტარებია.

გამომთელების შემდეგ რამდენიმე თვის განმავლობაში ცხენიან ტაჰკაზე მუშაობდა ლოდბანისთვის სოფელ ცერენში, მაისენის მახლობლათ. შემდეგ ხელახლა სოფელ ლოიტევიცში გადავბარგდით, რიზას მახლობლათ. აქ მამაჩემი ისევ მოჯამაგირეთ მუშაობდა დიდ მამულში.

მე უკვე შვიდი წლისა გავხდი და მამას უნდა მივშველებოდი; ბატებსა ან ნახირს ვმწყემსდი, კარტოფილს ვარჩევდი,—ან კიდევ ჭარხალს ვთხრიდი და ვჭრიდი.

არც ლოიტევიცში დავრჩენილვართ დიდ ხანს. ერთ წელსაც არ გაუვლია და ჩვენ უკვე სოფელ ჰაიდაში გადავესახლდით. იქ მამაჩემი ორ წელიწადს ერთ შეძლებულ გლეხს ემსახურებოდა მოჯამაგირეთ, შემდეგ აგურხანაში მუშაობდა. ჰაიდაში დავამთავრე სოფლის სკოლა.

რვა წლის განმავლობაში სკოლაში ბევრი არაფერი მისწავლია; ბავშვები ხშირათ ვაკლდებოდით გაკვეთილებს, რადგან იძულებული ვიყავით გლეხებთან გვემუშავნა და ოჯახს მივშველებოდით. გაკვეთილების შემდეგ ხშირათ წიგნებით იღლიაში მინდორში გავდიოდით და საღამომდე ვმუშაობდით. ხოლო როცა მშობლებთან ერთად შინ ვბრუნდებოდით, ისე დაქანცული ვიყავით, რომ ფიქრიც აღარ შეგვეძლო გაკვეთილებზე. სიამოვნებით ვასრულებდით ბრძანებას: „წა ლოგინისაკენ"!

თუმცა ჩემი მშობლები თავგამოდებით მუშაობდნენ და ხელმოჭერილათ* ცხოვრობდნენ (სხვათა შორის, მამაჩემი არასოდეს უადგილოთ არ დარჩენილა) და თუმცა ოჯახს ბავშვებიც ვშველოდით, მაგრამ ხშირათ მაინც დიდს გაჭირვებას განვიცდიდით. ხშირათ ხმელი პურიც კი გვენატრებოდა. ჩვენ მიწას ვანაკელებდით, ვხნავდით, ვთესდით, ვმკიდით, მაგრამ ნაყოფი მიწის პატრონს მიჰქონდა და ხოლო ჩვენ იმდენიც კი არ გვეძლეოდა, რომ თავი დაგვეპურებია.

ხშირათ ხდებოდა, რომ დედაჩემი შემდეგს ოინს მიმართავდა, რათა შიმშილისთვის თავი დაგვეღწია: სოფლის მეფურნესთან ორ ფენიგს გამატანდა, უნდა მეთქვა—მათხოვარმა გთხოვა, ამ ორი ფენიგის გამხმარი პური გამომიგზავნეო. გვრცხვენოდა გვეთქვა, რომ პური ჩვენთვის გვინდოდა. ამ გამხმარ პურს მეფურნე ხშირათ 1-2 გირვანქას ამიწონიდა ორ ფენიგათ, ახალი პური კი გირვანქა 14-15 ფენიგი ღირდა. ამ პურის ნატეხებიდან დედა უბრალო წვნიანს გვიდუღებდა.

ბავშვობის დროს, რასაკვირველია, არ მესმოდა, რამდენად უაზრო და უსამართლო იყო ასეთი მდგომარეობა. თვით მშობლებიც იმდენათ ნაკლებ შეგნებული იყვნენ კლასობრივათ, რომ არც ამ დუხჭირი მდგომარეობის მიზეზები ესმოდათ, არც აღშფოთებას გრძნობდენ მის წინააღმდეგ. მაგრამ მამაჩემი სრულიადაც არ ყოფილა ჩექმების მლოკველი: როცა რომელიმე მემამულე ან მისი ლაქია, ან კიდევ მოურავი უსამართლოდ მოეპყრობოდა, იგი შეურაცხმყოფელს გაბედულად სამუშაო იარაღს მიაყრიდა ფეხებში და თავის გზას გაუდგებოდა ახალი ადგილის საძებნათ.

⁂

მკაცრი სარწმუნოებრივი შეხედულებანი ჩემს მშობლებს ნებას არ აძლევდნენ უკმაყოფილება გაემჟღავნებიათ არსებული წესწყობილების წინააღმდეგ. მათ ეგონათ, ბატონები და მოსამსახურეები ღმერთმა დააწესა და ყმა ყმათ უნდა დარჩეს და მთელი თავისი სიცოცხლე სიღარიბესა და გაჭირვებაში გაატაროს, რათა სამაგიეროთ საიქიოს ეწიოს უკეთეს ბედსო.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ სიღარიბის მიუხედავათ, ჩვენს მშობლებს თანდაყოლილი სიამაყე ჰქონდათ, რომელიც ჩვენც გადმოგვეცეს.

რამდენჯერმე კვირაში საღამოთი იმ მდიდარ გლეხთან უნდა წავსულიყავი, სადაც დედმამა და ხშირათ აგრეთვე ბავშვებიც ვმუშაობდით, და ნახევარი ლიტრი ნაღებმოხდილი რძე მომეტანა, რათა დედას შეჭამადი გაეკეთებია. თვით ამ დოშიც კი ფულს გვახდევინებდნენ.

ხანდახან ჩვენს ოჯახში მძაფრი გაჭირვება შემოიჭრებოდა ხოლმე. ეს ხდებოდა, როცა ავადმყოფობა ნთქავდა ორიოდე შემონახულ გროშს. ავადმყოფთა სალაროები არ არსებობდა, ექიმი და წამალი ძვირი იყო და ხარჯები ჩვენი ღარიბი ჯიბიდან უნდა გაგვესტუმრებია.

მამაჩემი კვირაში 8 მარკას ღებულობდა (დაახლოებით 4 მანეთამდე). ამისთვის მას დილის ოთხ საათიდან, ხანდახან სამიდანაც საღამოს ცხრა-ათ საათამდე თავაუღებლივ უნდა ემუშავნა; კვირაობითაც არ ისვენებდა. თავის თავს ნებას არ აძლევდა რაიმე გართობა, რაიმე სიამოვნება მიეღო. მთელ სიცოცხლეში ერთხელაც არ ყოფილა ლუდხანაში. მისი ერთად-ერთი მფლანგველობა იმაში მდგომარეობდა, რომ ერთხელ თუ ორჯერ წელიწადში, კვირა დღეს, როცა ნასადილევის ორსა და ხუთ საათს შორის თავისუფალი იყო, სავარძელში ჩაჯდებოდა, რათა სიგარა მოეწია, რომლის სუნით მთელი ოჯახი სტკბებოდა. სამუშაო დღეს სიგარის მოწევა მას დანაშაულათ მიაჩნდა.

რაც უფრო ვიზრდებოდით და რაც უფრო მეტს ვმუშაობდით, მით უფრო ადვილათ გვიცვდებოდა ტანსაცმელი. თორმეტ წლამდე არასოდეს ახალი ტანისამოსი არ შემიკერავს, არც შარვალი და არც პიჯაკი, არც სხვა რამე, ყველაფერს დედა ძველებიდან მიკერავდა, მამაჩემის და პაპაჩემის გამოცვლილი ტანისამოსიდან. ამიტომ ჩემთვის უჩვეულო მოვლენა იყო, როცა კონფირმაციის *) დროს ახალი ტანსაცმელი ჩამაცვეს, რომელიც თერძმა შემიკერა. ეს ახალი ტანსაცმელი ჩემზე ბევრათ უფრო ძლიერ მოქმედებდა, ვიდრე მთელი კონფირმაცია, რომელსაც მეტისმეტათ სერიოზულათ ვუცქეროდი, მიტომ რომ იმ დროს არ მქონია სარწმუნოებრივი ხასიათის ეჭვები.

თორმეტ წლამდე მე საერთოდ მხოლოდ სამჯერ მქონდა შემთხვევა რაიმე გასართობში მიმეღო მონაწილეობა: პირველი იყო მოწაფეების ექსკურსია მონასტრის ნანგრევების დასათვალიერებლად, მეორეჯერ ტიკინათა თეატრში წავედი, იქ დრეიფუსის პროცესი წარმოადგინეს, რამაც ჩემზე წარუხოცელი შთაბეჭდილება დასტოვა; ხოლო მესამეჯერ მახლობელ ქალაქში პანოპტიკუმი ვინახულე; მამაჩემმა ამ მიზნისთვის 20 ფენინგი მომცა. ეს უდიდესი ამბავი იყო ჩემს ცხოვრებაში და და-ძმანი შურით შემომცქეროდნენ.

შაბათობით ჩვეულებრივ ზურგზე დიდ კალათს მოვიდებდი და ქალაქში მივდიოდი, რომელიც ერთი საათის სავალი მანძილით იყო დაშორებული ჩვენს სოფელს: იქ მთელი კვირის საყოფ ლობიოს, მუხუდოს, ცერცვს და მწვანილს ვყიდულობდი, ხან და ხან ნახევარ გირვანქა ცხენის ხორცსაც და შინ მომქონდა. ამ დაკეპილ ხორცს დედაჩემი უხვად უმატებდა გამხმარ პურს და კვირა დღეს შემწვარს გვიმატებდა. მაგრამ ასეთი კვირა, როცა ხორციეული გვქონდა, ისეთი იშვიათი იყო, რომ ბავშვებს გვეგონა—ღარიბები დიდ დანაშაულს სჩადიან, როცა ხორცს სჭამენ და ეს მათ ფარულათ უნდა ჰქნანო.

კვირას შუა დღით, იმ შემთხვევაში თუ ყანაში ან მინდორში არ უნდა გვემუშავა, ეკლესიაში მივდიოდით მშობლებთან ერთად. როგორც ჩვენი დედმამისთვის, ისე ჩვენთვის რელიგია ან მისი მცნებები მეტისმეტად სერიოზული იყო. არასოდეს ისე არ დავიძინებდით, თუ საღამოს ლოცვა არ გვეთქვა, არც დილით საქმეს შეუდგებოდით, თუ დილის ლოცვა არ გვეთქვა.

ჩემი მშობლები სრულიად არ იყვნენ მუხმუხელები. ისინი არასოდეს საქვეყნოთ არ აფენდნენ თავიანთ სარწმუნოებრივ შეხედულებათ. მაგრამ საკუთარი გაჭირვების მიუხედავათ მაინც დახმარებაზე უარს არ ეუბნებოდნენ იმათ, ვინც კიდევ უფრო გაჭირვებული იყო.

დედაჩემის მამა სასიკვდილოთ დაშავდა ქვის ტეხის მუშაობაში, ლაღუმის აფეთქების დროს; ბებია ჩემი ჰირშშტაინში ცხოვრობდა და მე ხშირათ იძულებული ვიყავი ჰაიდიდან სამი საათის მანძილი გამევლო, რათა მისთვის საჭმელი მიმეტანა.

ასეთ პირობებში, რასაკვირველია, ჩემთვის შეუძლებელი იყო სოფლის ბავშვების თამაშობაში მონაწილეობა მიმეღო. ბავშვებიც ისე მიცქეროდნენ, როგორც უცხოს, რომელიც მათ წრეს არ ეკუთვნოდა. ჩემი ჰასაკის ამხანაგები, განსაკუთრებით მდიდარი გლეხის შვილები გულზვიადათ მეპყრობოდნენ, ეს კი მე გულს მიკლავდა. ჩემი სკოლის ამხანაგებს სასაცილოთ არ ჰყოფნიდათ ჩემი ახირებული ტანისამოსი, რომელსაც დედაჩემი მამაჩემის ან ბებიაჩემის ძველებიდან მიკოწიწებდა.

სოფლის სკოლის დამთავრების შემდეგ სულით და გულით მინდოდა ზეინკალი გავმხდარიყავი. ჩემი სურვილი იყო ხეირიანი ხელობა შემესწავლა, რათა უკეთ დავხმარებოდი მშობლებს. ვიცოდი, ამას ვერ შევძლებდი, თუ მოჯამაგირეთ ან დღიურ მუშათ დავრჩებოდი, მიტომ რომ ამ შემთხვევაში იმაზე მეტს ვერ ვიშოვიდი, რაც ჩემი არსებობისთვის იქნებოდა აუცილებელი. თვალწინ მედგა ჩემი მშობლების მაგალითი, ისინი ასე თავგამოდებულათ მუშაობდნენ და მომჭირნეობას იჩენდნენ, მაგრამ მაინც ბეჩავათ ცხოვრობდნენ.

მაგრამ ხელობის შესწავლა ჩემთვის შეუძლებელი იყო, მიტომ რომ ჩემს მშობლებს არ შეეძლოთ სწავლის და ტანსაცმელის ხარჯების გასტუმრება; ამას გარდა სამი წლის განმავლობაში მე ვერაფერს ველარ შევიტანდი სახლში. როგორც ეტყობოდა, მეც იმ გზას უნდა დავდგომოდი, რომელსაც მამაჩემი ადგა.

კონფირმაციის შემდეგ მოჯამაგირეთ დავუდექი ერთ შეძლებულ გლეხს, გვარათ კლოჩშეს, ლოიტევიცში რიზას მახლობლათ. მასთან ორი წელიწადი დავყავი. ორი მისი მოჯამაგირე ჯარში გაიწვიეს იმ წელს. ჩემს პატრონს გაუჭირდა მუშა ხელის შოვნა. და მე იძულებული გავხდი ისეთი ტვირთი მეტარებინა, რომელსაც ჩვეულებრივ უფრო ხნიერი მუშები ატარებენ. მაგრამ მე მაინც მიყვარდა სოფლათ მუშაობა, და ყოველივე, რაც მასთან იყო დაკავშირებული, გულს მიხარებდა. არ მესიამოვნებოდა მხოლოდ წკეპელი, რასაც უხვათ ვღებულობდი. მოჯამაგირეებს ისე გვეპყრობოდნენ, როგორც ჯარის კაცებს: ახალგაზრდა მუშა უსათუოდ უნდა გაილახოს, ისე მისგან ხეირი არ იქნებაო, ჰფიქრობდნენ უფროსები.

ჰაიდელბერგის და ბადენ-ბადენის გზით ლონდონში მივრბივარ.

თუმცა მიწის მუშაობა ძალიან მიყვარდა, თავი არ დამინებებია სხვა ისეთი სამუშაოს ძებნისთვის, რომელიც მეტს სალსარს მომცემდა. მაგრამ მხოლოდ ორი წლის შემდეგ შევსძელი შინამოსამსახურის ადგილის მიღება ერთ პატარა სასტუმროში, ქალაქ რიზაში.

სამი თვის შემდეგ თავი დავანებე ამ ადგილს, რათა პირველი დამოუკიდებელი ნაბიჯი გადამედგა. განვიზრახე როგორმე ბადენ-ბადენში გავპარულიყავი. დედაჩემს იქ ახალგაზრდობის დროს მოახლეთ ემსახურნა და ბავშვებს ფანტასტიურ ამბავს გვიამბობდა ამ ქალაქის შესახებ, რომელიც მისი წყალობით ჩემი ოცნების საგნათ იქცა. მაგრამ ჩემი გროშები მხოლოდ ჰაიდელბერგამდე მეყო. იქ იძულებული ვიყავი მოგზაურობა შემეწყვიტა და პურჭლის მრეცხავათ დავმდგარიყავი სასტუმრო „ბაირიშერ ჰოფში“.

მუშაობის დროს სისხლი მომეწამლა: მთელი ხელის მოჭრას მიპირებდნენ. პროტესტი განვაცხადე, მაგრამ მაინც უნივერსიტეტის კლინიკაში წამიყვანეს ძალდატანებით. ხელი გამიმრთელდა.

ორი თვის შემდეგ მოვრჩი, ჰაიდელბერგი დავტოვე და ბადენ-ბადენში გავემგზავრე. მოსამსახურის ადგილი ვიშოვე ვილლა „შარლოტაში“, ერთ მდიდარ მექარხნესთან. იმედი მქონდა აქ მაინც მექნება ორი საათი თავისუფალი, რათა ცოტა რამ ვისწავლო და შემდეგ, როცა ორიოდე გროშს დავაგროვებ, სხვა ხელობას მოვკიდო ხელი მეთქი. მაგრამ ოცნებაც კი არ შეიძლებოდა თავისუფალ დროზე. მე ვალდებული ვიყავი ხალიჩები გამებერტყა, დიდი ბაღისთვის მომევლო, ყველა ფეხსაცმელი დამეწმინდა, მერეცხა და მეუთოებია კიდეც, ხოლო შემდეგ ყოველ დღე მექარხნის დამბლა დაცემული ცოლი ბაღში მეტარებია საგორებელი სავარძლით.

ამ ადგილას მხოლოდ რამდენიმე თვე დავრჩი და შემდეგ შეგირდათ შევედი ავტომობილის საქმეში. მაგრამ ხნიერი შოფერები იმდენს მცემდენ, რომ პურის ჭამისაც კი მეშინოდა.

როცა ეს ამბავი მომწყინდა, გავიქეცი. ლიფტის მეთვალყურეთ დავდექი ერთს ვილლაში. როცა ახალი, ბრჭყვიალა ღილებიანი ტანსაცმელი ჩავიცვი, ჩემი თავი დიდ ვინმეთ წარმოვიდგინე, მით უმეტეს, რომ აქ ისეთ ადამიანებს ვხვდებოდი, რომელნიც თითქო სხვა ქვეყანაში ცხოვრობდნენ და რომელთაც სხვა საზომით უნდა მივდგომოდი. ხეირიანი შემოსავალი მქონდა და რამდენიმე კვირის შემდეგ შემნახველი სალაროს წიგნაკიც კი შევიძინე. ჩემმა ქონებამ ჩქარა ას მარკას მიაღწია. ეს ჩემთვის მთელი კაპიტალი იყო.

სალაროდან ფული გამოვიტანე, ხელის კალათი ვიყიდე თეთრეულისთვის და მოუმზადებლად კელნისა და როტერდამის გზით ლონდონში წავედი.

განსხვავება ბადენ-ბადენსა და ლონდონს შორის იმდენათ დიდი იყო, რომ სრულიად გარეტიანებული ვიყავი. ინგლისელმა პოლისმენმა შემამჩნია, რომ დიდი ქალაქის გამოცდილება მაკლდა, შემიცოდა, ორბორბლიან დროშკაში ჩამსვა და ამ რიგათ, როგორც იყო გერმანულ სასტუმროს მივაღწიე.

იქ კარგათ მიმიღეს, იაფი ბინა და საჭმელსასმელი გამიჩინეს. ჩემი მასპინძლები შეეცადნენ, რაც შეიძლება ჩქარა ეშოვათ ჩემთვის სამუშაო. ამას გარდა ჩემი პატრონობა იკისრეს ისეთმა თანამემამულეებმაც, რომელნიც დიდი ხანია ლონდონში ცხოვრობდნენ, უსაქმოთ იყვნენ და იმით ირჩენდნენ თავს, რომ ახლათ მოსულთ ამ უზარმაზარ ქალაქს აცნობდნენ. მათ ყნოსვით გაიგეს, რომ ორიოდე გროში მედო ჯიბეში და კეთილსინდისიერათ შეეცადნენ ჩემი პატარა თანხის დახარჯვა შეემსუბუქებიათ.

დილიდან საღამომდე ჩემთან ერთად ლონდონში დასეირნობდნენ ჩემს ხარჯზე. ერთი ასეთი საინტერესო, მაგრამ ამაღელვებელი და დამქანცავი მოგზაურობის შემდეგ, დიდ ჰაიდ პარკში შევედით. იქ ხეებს ქვეშ მინდორზე მოძრავი და ბნელი საგნები დავინახე. ვიკითხე, ცხვრები ან სხვა ცხოველები ხომ არ არიან, რომ ასე თავისუფლათ აფუჭებენ ბალახს მეთქი. ჩემს თანამგზავრებს სიცილი აუტყდათ. ახლო

---

*) კათოლიკები კონფირმაციას უწოდებენ მირონცხების საიდუმლოებას, რომელიც ნათლობასთან ერთად კი არ ხდება, როგორც მართლმადიდებლებში, არამედ შემდეგ, როცა ყმაწვილი 14—15 წელს აღწევს. პროტესტანტები მირონცხების საიდუმლოებას არ სცნობენ, მაგრამ ბავშვს მაინც კონფირმაციას უკეთებენ იმავე 14—15 წლის ჰასაკში: ბავშვი სარწმუნოების აღსარებას ამბობს და პასტორისგან ზნეობრივი ხასიათის დარიგებას ღებულობს. ამ აქტით იგი საბოლოოდ შედის საეკლესიო კრებულში.

მიმიყვანეს და ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა დავინახე, რომ ეს ბნელი საგნები წყვილ-წყვილი ქალვაჟნი იყვნენ და სრულიად შეუშფოთებლად სქესობრივ აქტს ასრულებდნენ.

ჩემმა შემთხვევითმა მეგობრებმა ყოფაქცევაზე შემამჩნიეს, რომ ამ დარგში მეტისმეტათ გამოუცდელი ვიყავი და შეეცადნენ პრაქტიკულათ გავნათლებულიყავი. ორიოდე წუთში ხუთი გოგო იპოვეს, თვითეული მათგანი მზათ იყო წარმოუდგენლათ მცირე ფასათ, სახელდობრ 30—50 ფენინგათ (15—25 კაპ.) თავი გაეყიდა.

გამბედაობა არ მეყო უარი მეთქვა და გამოვტეხილიყავი, რომ ნამდვილათ კიდევ უფრო გამოუცდელი ვიყავი, ვიდრე ჩემს თანამემამულეებს ეგონათ. გოგოები დავირიგეთ, ათიოდე ფეხის ნაბიჯით დავშორდით ერთმანეთს და საქმე მოვათავეთ.

ეს იყო ჩემი პირველი სქესობრივი განცდა. უნდა ითქვას, რომ მე მეტის-მეტათ უმწეოთ მოვიქეცი. ინგლისელ გოგოს გული მოუვიდა, რომ მისი ამხანაგები ბევრათ ადრე განთავისუფლდნენ და ახალი მყიდველების ძებნას შეუდგნენ, სილა გამაწნა და გაიქცა დამცინავი სიცილით.

ჩემი პატარა თანხა ჩქარა დაილია და მე სერიოზულათ შევუდექი სამუშაოს ძებნას. ლონდონში ათასობითაა სასადილო და ლუდის სარდაფი, ერთს მათგანში მზარეულის შეგირდის ადგილი მომცეს. კვირაში ორ შილინგ ნახევარს მაძლევდნენ (1 მან. 25 კ.), ამას გარდა საჭმელსასმელს და ბინას, მაგრამ საკვები ისეთი უხვი იყო, რომ ჩქარა შიმშილით სული ამომხდებოდა, თუ ბებერი, ძუნწი დიასახლისი არ გამექურდა: ვიპარავდი პურს, კარტოფილს, პუდდინგს, ამასთანვე სამი კაცის სამუშაოს ვასრულებდი.

რასაკვირველია, ასეთ მდგომარეობაში დიდხანს ვერ გავძელი, მაგრამ კიდევ რამდენიმე ლუდხანა და სასადილო გამოვიცვალე, სანამ ლონდონის გარეუბანში შინამოსამსახურის ადგილს ვიშოვიდი ორი ამერიკელი დის ოჯახში. აქ კარგათ მეპყრობოდნენ, კარგათ მკვებავდნენ და დღეში რამდენიმე საათი თავისუფალი მრჩებოდა.

ინგლისური წიგნები ვიყიდე, გაზეთების კითხვა დავიწყე და ერთ-ერთ იმ საუცხოვოთ მოწყობილ საზოგადო სამკითხველოში ჩავეწერე, როგორიც ბევრია ლონდონში.

ერთმა ჩემმა დიასახლისთაგანმა შემამჩნია, რომ ინტერესს ვიჩენდი ტეხნიკისადმი და წინ მივიწევდი, რათა რაიმე პროფესიული განათლება მიმეღო. გამაცნო ლონდონის ერთი სატრანსპორტო საქმის დირექტორს, რომელმაც მრეცხავის ადგილი მომცა. ეს მუშაობა ღამით უნდა შემესრულებია, რისთვისაც კვირაში 12 შილინგი (6 მან.) მეძლეოდა. ჩემი მოთხოვნილებისა და მდგომარეობის ყმაწვილისთვის ეს კარგი შემოსავალი იყო.

გაზეთში განცხადება წავიკითხე, ინჟენერი სიტიში შეგირდს ეძებს თავისი ბიუროსთვისო; მაშინვე წავედი და ადგილი მივიღე. დილის ცხრა საათიდან ნაშუადღევის სამამდე ინჟენერთან ერთად ვმუშაობდი და პატარა ნახაზებს ვუმზადებდი რკინის გზის პროექტისთვის, რომლის შესრულება სამხრეთ-ამერიკიდან ჰქონდა დაკვეთილი.

საღამოთი ჩაილსის პოლიტეხნიკუმში დავდიოდი, სადაც მასწავლებლები დიდი ყურადღებით და თანაგრძნობით მეპყრობოდნენ. განსაკუთრებით ერთმა მასწავლებელმა, რომელსაც ხიდის აშენების დარგი ებარა, ყოველივე ღონისძიება მიიღო, რათა ჩემთვის, როგორც ინგლისური ენის სუსტათ მცოდნესთვის, საგნის გაგება გაეადვილებია. ხშირათ გვერდით დამისვამდა და ტეხნიკურ ტერმინებს მითარგმნიდა. მე ერთად-ერთი გერმანელი ვიყავი დაახლოებით 30 მოწაფეს შორის.

არ გაუვლია ორ წელიწადსაც, რომ იძულებული გავხდი გერმანიაში დავბრუნებულიყავი სამხედრო ბეგარის მოსახდელათ. ამით ჩემი მშობლების სურვილიც შევასრულე, ისინი ვერ ურიგდებოდნენ ჩემს „უცხოეთში მოგზაურობას“.

გერმანიაში დაბრუნება

გერმანიაში დაბრუნებამ იმედის გაცრუება მომიტინა. ბერლინთან შედარებით, სადაც პირველათ ჩამოვედი, ჩემი ცხოვრება ლონდონში ბევრათ უფრო თავისუფალი და ძალდაუტანებელი იყო. ადგილის ძებნის დროს ინგლისში ჩემთვის არასოდეს არ უკითხავთ, ვინ არის მამაშენი, რა სკოლა გაგითავებია, ებრაელი ხარ თუ ქრისტიანიო. გერმანიაში კი უწინარეს ყოვლისა ამ კითხვებს იძლეოდნენ. როცა ტეხნიკურ ბიუროებში, სადაც სამუშაოს მისაღებათ მივდიოდი, განევაცხადებდი, მამაჩემი მოჯამაგირეა მეთქი, მაშინვე შევამჩნევდი, რომ ჩემი შანსები ეცემოდა და ჩემი მდაბიო წარმოშობა მხრების აჩეჩასა და ცხვირის აწევას იწვევდა.

ტეხნიკურ ბიუროებში ხეტიალის დროს ჩქარა დავრწმუნდი, რომ გერმანიაში უდიდეს მნიშვნელობას აძლევენ საშუალო სასწავლებლის მოწმობას, რომელიც პატრონს უფლებას ანიჭებს სამხედრო სამსახურში მხოლოდ ერთი წელიწადი იმსახუროს. დავინახე, რომ ჩემს წინსვლას ამ მოწმობის უქონლობა დიდათ აფერხებდა, ამიტომ უნდა ვცდილიყავი სათანადო გამოცდა ჩამებარებია. მაგრამ ამისთვის საჭირო იყო, რომ ჯერ ადგილი მეშოვა.

სამხედრო უწყებას ვთხოვე დროებით არ გავეწვიე, რათა ზემოხსენებული გამოცდა ჩამებარებია. რადგან რკინის გზის ტეხნიკოსის ადგილი ვერ ვიშოვე, იძულებული გავხდი შინამოსამსახურის და ჭურჭლის მრეცხავის ადგილი მიმეღო „არქიტექტორთა სასტუმროს“ რესტორანში, ამრიგათ მე მაინც შევედი ჩემი მომავალი კოლეგების—ამშენებლების წრეში, მხოლოდ თავდაპირველათ მათი თეფშები და ჭიქები უნდა მერეცხა.

ერთი თვის შემდეგ სიმენსის და ჰალსკეს წარმოებაში მიმიღეს, მაგრამ ტეხნიკურ სამუშაოს კი არ ვასრულებდი, არამედ კელნერის თანაშემწეთ დამნიშნეს და მუშებს კერძს ურიგებდი უზარმაზარ სასადილოში. ამ ხნის განმავლობაში თავგამოდებით ვსცდილობდი ისეთი ადგილი მეშოვა, რომელიც რამდენიმეთ მაინც შეეფერებოდა ლონდონში შეძენილ ცოდნას. ბოლოს ერთ სარკინისგზო საამშენებლო ბიუროში შევხვდი ისეთ ინჟენერს, რომელმაც ჩემი წარმოშობის, განვლილი ცხოვრების და დიდედის ამბავი კი არ გამომკითხა, არამედ შეძლება მომცა საკუთარი ცოდნა და ნიჭი გამომეჩინა. მე სანიმუშო ნახაზები და გამოანგარიშება უნდა შემესრულებია მისი ხელმძღვანელობით. საღამოობით ინსტიტუტში დავდიოდი გამოცდისთვის მოსამზადებლად, ხოლო ტეხნიკური ცოდნის გასაფართოებლად ორჯერ კვირაში სამოქალაქო სახელოსნო სკოლაში დავდიოდი.

,,ახალგაზრდათა ქრისტიანულ კავშირში‘‘

ბერლინში, ისევე როგორც წინათ ლონდონში, ახალგაზრდათა ქრისტიანულ კავშირს მივეკედლე, რომელსაც ფართო დარბაზებიანი სახლი ჰქონდა ვილჰელმშტრასეზე. იქ ხშირათ დავდიოდი და მრავალი თანამოაზრე აღმოვაჩინე, რომელნიც ჩემსავით წინ მიიწევდნენ. გარდა ამ ახალგაზრდებისა მე ნაცნობები არ მყოლია ბერლინში; ქალებს განგებ გავურბოდი; ჩემი იმდროინდელი მორალური მოსაზრებანი და ცოდვა-მადლის შეგნება მიკრძალავდნენ ყოველივე სქესობრივ კავშირს ქორწინების გარეშე. მაგრამ 21 წლისა ვიყავი და ძლიერი ეროტიული მოთხოვნილება მქონდა; ამ მოთხოვნილების დასათრგუნვათ ევანგელისტთა უბიწოების კავშირში „თეთრ ჯვარში“ ჩავეწერე. ექვსი თვის განმავლობაში, სანამ ჩემი გამოცდა გრძელდებოდა, მე ვალდებული ვიყავი თითქმის ყოველდღე ჩემი სქესობრივი ყოფაქცევისა და აზროვნების შესახებ ვრცელი აღსარება მიმეცა გამგეობისთვის. მხოლოდ ამ „განწმენდის“ შემდეგ წევრათ მიმიღეს დღესასწაულებრივ სხდომაზე. „თეთრ ჯვარში“ ომის დაწყებამდე დავრჩი.

სწავლის გასაგრძობათ დრეზდენი ავირჩიე. აქ ერთხანს ვეძებე ისეთი სამუშაო, რომელიც იმდენ თავისუფალ დროს დამიტოვებდა, რომ სკოლაშიც მევლო. ამასთანვე იმდენი უნდა მეშოვა, რომ კიდეც მეცხოვრა და სწავლის ხარჯიც გამესტუმრებია.

მაგრამ დრეზდენში ძნელი იყო საზოგადოთ რაიმე სამუშაოს პოვნა. მთელი საათების განმავლობაში რამდენიმე ას უმუშევართან ერთად საგაზეთო ბიუროების წინ ვიდექი, სადაც შრომის ბაზრის მოთხოვნილებები ცხადდებოდა, რათა შემდეგ ჩქარა შემომერბინა ქალაქის უბნები და პირველი მივსულიყავი სათანადო ადგილზე.

ჩემი მარაგი ჩქარა დაილია, ტანისამოსი შემომეფლითა, მე კი არავითარი იმედი აღარ მქონდა ადგილის მიღებისა. კარგა ხანია ფეხსაცმელის ძირები გამიცვდა. ცივი თებერვალი იდგა და ვეღარც კი ვბედავდი ქუჩაში გამოსვლას.

კინოს მაჩვენებლის როლში

ბოლოს, დიდი ხნის ხეტიალის შემდეგ, ერთ პატარა კინოში ეგრეთწოდებული მაჩვენებლის ადგილი მომცეს. მე საპროექციო აპარატთან უნდა მემუშავა საღამოს 8 საათიდან ღამის 12 საათამდე. ამ მუშაობისთვის საშინლად ვიწრო და გაცხელებულ რკინის საკანში, სადაც მკვეთრი სინათლე თვალს მჭრიდა, კვირაში 25 მარკა მეძლეოდა. ეს იმაზე მეტი იყო, რასაც ველოდი. ამ ფულით შემეძლო სწავლის ფასი გადამეხადა, წიგნები მეყიდა და თითქმის ყოველდღე თბილი საჭმელი მეჭამა.

მოსამზადებელ ინსტიტუტში დავდიოდი ქალაქის გარე უბანში.

ღამით გაკვეთილები უნდა მომემზადებია. ძილისთვის დრო ცოტა მრჩებოდა. ხშირათ გათენებისას წიგნებზე ჩამძინებია ტანთგაუხდელს.

ეს გამანადგურებელი ცხოვრება დაახლოებით ერთ წელიწადს გაგრძელდა, შემდეგ ფიზიკურათ სრულიად მოვიშალე. ახლათ გაწვეულთა შემმოწმებელმა კომისიამ, რომელმაც პირველი გაწვევის დროს სრულიად ჯანმრთელათ მიცნო, ახლა ისეთი საშინელი ცვლილება აღმოაჩინა ჩემს სხეულში, რომ ჭლექის ნიშნების გამო განმათავისუფლა აქტიური სამსახურისაგან. ექიმებმა, რომელთაც რჩევა ვკითხე, წინადადება მომცეს დაუყონებლივ შემეწყვიტა მუშაობა, დრეზდენი დამეტოვებია და ტყიან მხარეში გადავსახლებულიყავი.

ვიგრძენი, რომ წინანდებურათ ვეღარ ვიმუშავებდი, ექიმების რჩევას დავუჯერე და 1912 წლის დასასრულს ფალკენშტაინში გადავსახლდი. იქ მიწის მზომელთან ვიშოვე ადგილი, ხოლო საღამოობით ფილმის ამხსნელის როლს ვასრულებდი კინოში. თავისუფალ დროს კი ვცდილობდი სწავლა გამეგრძელებია.

მაქს შელცი.

(შემდეგი იქნება)

თარგმნილი გერმანულიდან **გერონტი ქიქოძის** მიერ.

ბორჯომი.

საგაზაფხულო მუშაობა ლიკანის მამულში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუთი მაისი--პრესის დღეა

ერთი დღე „კომუნისტი“-ს რედაქციაში

ე. წ—ძე.

დილის 10 საათია. სტამბას ჯერ კიდევ „სძინავს“. რამდენიმე ცეხიდან მხოლოდ ორგან მუშაობენ: საექსედენციო განყოფილებაში (სადაც იწყობა წიგნები, ბროშურები, აფიშები და სხვ.) და წიგნების საკაზმავში. დანარჩენ ცეხებში მხოლოდ რამდენიმე საათის წინ მორჩნენ მუშაობას და იქ ახლა დამლაგებლებს მტვერის კორიანტელი აქვთ დაყენებული. ჰხვეტენ და თან ქაღალდის ნაგლეჯებს აგროვებენ. რედაქციის ოთახები უკვე დაგვილია. მაგრამ იქ კიდევ ტრიალებს გუშინდელი დღის ატმოსფერა, რაღაც მიჯნა განვლილ და დამდეგ დღეს შორის. მაგრამ აი, ნელ-ნელა იყრიან თავს რედაქციის მუშაკები: მდივანი, განყოფილებათა გამგეები.

იწყება ახალი სამუშაო დღე, მზადება მორიგ ნომრის გამოსაშვებათ. მუშაობა იწყება გამოსულ ნომრის დათვალიერებით: ხომ არაფერი გამოგვეპარა, ყველაფერი რიგზეა თუ არა დაბეჭდილი, წავიდა თუ არა ყველა აუცილებელი მასალა. რასაკვირველია, საბჭოთა-პარტიულ პრესისათვის უცხოა ის კონკურენცია, შეჯიბრება სენსაციებში, რომელიც კაპიტალისტურ პრესას ახასიათებს, მაგრამ სამაგიეროთ ჩვენში არის ამხანაგური შეჯიბრება მუშურ-გლეხური მკითხველისათვის უკეთესი სამსახურის გაწევაზე, მისთვის საინტერესო ცნობების მოხდენილად და გასაგებად მიწოდებაზე. არ არის სასიამოვნო, როცა „შენი“ გაზეთი ჩამორჩება, მაგრამ საბჭოთა-პარტიული პრესის არც ერთ მუშაკს არ მოუვა აზრათ იწყინოს, თუ მეორე გაზეთმა უკეთ შესძლო მუშურ-გლეხური მასების სამსახური. ამ რამდენიმე ხნის წინათ მთელ საბჭოთა კავშირში მიმდინარეობდა საწარმოო თათბირების მუშაობის შემოწმება. ამ კამპანიას ბოლშევიკური პრესის ვეტერან „პრავდა“-სთან ერთად ყველა გაზეთები ატარებდნენ, მაგრამ პირველობა „პრავდა“-ს დარჩა და ახლა თვალუწვდენელ საბჭოთა კავშირის მთელ რიგ ფაბრიკა-ქარხნების მუშები მოითხოვენ, „პრავდა“-ს დაჯილდოებას შრომის წითელი ორდენით. საბჭოთა პრესის რომელ მუშაკს მოუვა ქეუაში შურის გრძნობით წაიკითხოს ცნობები „პრავდა“-ს დაჯილდოების მოთხოვნით! პირიქით, განუზომელ სიამაყის გრძნობით ავსებს მას თავისი თანამოძმეების ასეთი წარმატება და მისი სურვილია „თავისი“ გაზეთიც გაუთანასწოროს „პრავდა“-ს, მასთან ერთ რიგში ჩააყენოს.

* * *

დუმილია რედაქციაში. მხოლოდ გაზეთების გადაშლილ ფურცლების შრიალი ისმის. განყოფილებათა გამგეები ჯერ „თავიანთ“ განყოფილებებს ათვალიერებენ, მდივანი კი, გაზეთის დათვალიერებას მეთაურიდან იწყებს და განცხადებებით ათავებს.

ქაღალდის კრიზისის გამო გაზეთი მოკლებულია საშვალებას ხშირად გამოუშვას ექვს-ექვსი გვერდი. მთელი აუცილებელი მასალის ჩატევა ხშირად ვერ ხერხდება ხოლმე. გადაიდება ხან ერთი, ხან მეორე მასალა და განყოფილება. ღელავს მეორე დღეს მასალის ჩამბარებელი, იწყება „ლაშქრობა“ მდივანის წინაამდეგ.

მაგრამ გათავდა „დავა“. იწყება გაზეთის გულდასმით შემოწმება შინაარსის, ტეხნიკის, კორექტურის მხრივ. განსაკუთრებით კორექტურაა ყველაზე მტკივნეული ადგილი. „კაპიტალური“ და „კაპიტალისტური“, „სოციალური“ და „სოციალისტური“, „კომუნალური“ და „კომუნისტური“,—ხშირად არის ერთმანეთში არეული. ხშირად ისეთი შეცდომები იპარება, რომ თმები ყალყზე დაუდგება კაცს. იყო შემთხვევა,—ეს ანეკდოტი არ არის,—როცა ჩვენმა კორექტორებმა გარდაცვალებულის გვარში ერთი ასო შესცვალეს და გამოდის, რომ ცოცხალ კაცს პანაშვიდი დაუნიშნეს. მეორე დღეს გარდაცვალებულისა და შეცდომით გარდაცვალებულად გამოცხადებულის პირისუფლები მოიჭრნენ რედაქციაში: რად დაგვკალითო. ამიტომ ყველაზე მეტი ყურადღებით გაზეთი კორექტურის თვალსაზრისით მოწმდება და უკანასკნელ ხანებში ამ შეუსუსტებელი კონტროლის წყალობით კორექტურასაც დაეტყო გამოსწორება.



მანქანა „ლინოტიპი“, რომელზედაც იწყობა გაზ. „კომუნისტი“.



„საროტაციო“ მანქანა საათში ბეჭდავს 20 ათას ცალ „კომუნისტს“.

* * *

რედაქცია თანდათანობით ივსება თანამშრომლებით. „დათვალიერება“ გათავდა და იწყება მასალების დამზადება მორიგი ნომრისათვის.

განყოფილებათა გამგეები ათვალიერებენ მაგიდაზე დასტობით დალაგებულ, თემების მიხედვით „დახარისხებულ“ წერილებს და არჩევენ რა თემაზე გაუშვან დღეს განყოფილება. მაგრამ აი თემა ამორჩეულია. იწყება მასალების წაკითხვა. ხშირად ძნელია მუშის ან გლეხის დაკოჟრებული ხელით დაწერილის გარჩევა. ზოგჯერ აზრის ნათლად გაგებაც კი, მაგრამ რამდენადაც გაუგებარია წერილი, მით უფრო მეტი ყურადღების ღირსია იგი. ასეთი წერილების გროვა მემანქანე ქალს ეძლევა გადასაბეჭდათ, სტრიქონების რაც შეიძლება დაშორებით. გადაბეჭდილი მასალა სწორდება, უკეთდება სათაურები. განყოფილებები მზად არის და თავს იყრიან მდივანის „პორტფელში“—კარდონის ყდაში.

მაგრამ განყოფილებათა გარდ, რომელთაც სპეციალურად მიჩენილი მზრუნველები ჰყავთ, არის ე. წ. „მოხეტიალე განყოფილებები“, რომელთა პატრონობა ეკისრება ყველას. ეს არის ყველა მიმდინარე კამპანიებთან დაკავშირებული მასალები, რომელთაც ასწორებს რედაქტორიც, მისი მოადგილეც, განყოფილებათა გამგეებიც, მდივანიც.

* * *

12 საათიდან იწყება დეპეშების მიღება ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოდან, რომელსაც ჩვენ შემოკლებით ვუძახით „ადს“-ს.

— აბა, სთარგმნე ეს შენ—ამანულა ჩქარა კისერს მოუგრეხს ბაჩე-საკოს.

— აი ეს კიდევ შენ. ფინ-იუნ-სიანი და ჩან-კაი-ში ერთმანეთს სჭამენ.

უნაწილდება დეპეშები მთარგმნელებს. რედაქციაში ისმის კალმების წრიპინი, რომელსაც ხშირად არღვევს ტელეფონის ზარის წკრიალი ან რედაქციაში საქმეზე მოსულთა ლაპარაკი.

რა ხალხი არ მოდის რედაქციაში.

აი მუშა, რომელიც უკანონოდ დ ითხოვეს და მოიღალა ბიუროკრატიზმის უდაბურ ტყეში ხეტიალით. მოვიდა რედაქციაში, რომ გაზეთის დახმარებით ერთის დაკვრით გადასჭრას გორდიუმის კვანძი და აღიდგინოს შებღალული უფლებები.

აი ქალი ბავშით, რომლის ქმარმა სხვა „ტურფა“ ნახა და ცოლ-შვილს სიმშილით ხდის სულს.

ან კიდევ რომელიმე ბობოლა-ჩინოვნიკი, რომელიც „გასწერეს“ ინსპექციის ფურცელში. ის ყველა „წმინდანებს“ იშველიებს მოწმეთ, რომ ის უსპეტაკესი კაცია.

აი აგერ, რიხით შემოალო კარები თმაგაჩეჩილმა ყმაწვილმა, იკითხა „მთავარი“ რედაქტორი და, როცა უკანასკნელი არ აღმოჩნდა, მდივნის „დაბალი პერსონით“ დაკმაყოფილდა „ფრიად სერიოზულ“ საქმეზე მოსალაპარაკებლად. ეს „ფრიად სერიოზული საქმე“ აღმოჩნდა ასტაეპიანი ლექსი „მარსზე და ზაჰესზე“.

— გთხოვთ ახლავე წა კითხოთ.

— დასტოვეთ, გადავათვალიერებთ და, თუ გამოდგა, გაუშვებთ.

— არა, ძალიან გთხოვთ ეხლავე წაიკითხოთ.

საქმე თავდება თმაგაჩეჩილი ახალგაზრდის გამარჯვებით.

ლექსი, რასაკვირველია, არ ვარგა. მაგრამ ძნელია ამის პირში თქმა. დაწუნება იწყებ- **ფრთხილად, რომელიმე ტაქტით.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არ მოგწონთ? ეხლავე გადავასწორებ. ახალგაზრდა ერთი წუთით ზეცისკენ ალაპყრობს თვალს და ტაეპი მყის იცვლება არანაკლებ მიუღებელი სტრიქონებით. საშველი არ არის. უკანასკნელი საშუალება აბეზარ ახალგაზრდას მოსაშორებლად არის ლექსის დატოვება და მცირეოდენი იმედის მიცემა:

— გადავცემ რედაქტორს, ვნახოთ რას იტყვის...

⁂

სამის თხუთმეტი წუთია. მეოთხედი საათის შემდეგ იწყება მუშაობა სალინოტიპო განყოფილებაში. ინსტრუქტორი უკვე რედაქციაშია და მასალის მიღების მოლოდინში სულთამხუთავივით თავზე ადგას მდივანს.

პირველი „ქერძი" გაეგზავნა ამწყობ მანქანებს. ასოთ-ამწყობმა შესამოწმებლად ხელი დაუსვა მანქანის კლავიშებზე, ასოების ნიშნები წკრიალით ჩამოცვივდა ყუთიდან, დაეწყო ერთმანეთის გვერდით, ასოთ-ამწყობმა მოსწია ბერკეტი, დალაგებული სტრიქონი სადღაც გაჰქრა და მის მაგიერ, მანქანაზე მიმაგრებულ კოლოფში გამოჩნდა თეთრი, ჯერ კიდევ ცხელი ტყვიიდან ჩამოსხმული სტრიქონი. მოსინჯვის შემდეგ იწყება წყობა და ჩქარა მთელი სალინოტიპო განყოფილება ივსება თავისებური მუსიკით, რომელსაც ხან-გამოშვებით არღვევს ასოთ-ამწყობის ძახილი:

— მასალა!

გაუმაძღარია ლინოტიპი. ოთხი კაცის მუშაობას ასრულებს იგი. რამდენიც არ უნდა უყურო მის მუშაობას, გაოცებაში მოდიხარ: არა მკვდარი მანქანის, არამედ გონიერ ადამიანის შთაბეჭდილებას სტოვებს იგი. ბრტყელ, ერთი მხრივ ვიწრო ოთხკუთხედში, ჩალაგებულია სპილენძის ნიშნები, რომელზედაც ამოჭრილია ასოები, ხელს დაჰკრავ მანქანის ფოლაქზე, წკრიალით ჩამოვარდება მიჩენილ ყალიბში ერთი ნიშანი, შემდეგ, მეორე, სანამ არ გაივსება სტრიქონი. სპილენძის ნიშნებით სავსე სტრიქონი მანქანას გადააქვს იმ ადგილას, სადაც გამდნარი ტყვიით სავსე ქვაბიდან გადმოდის ლითონი, ეკვრის სპილენძის ნიშნებს, ცივდება და მასზე რჩება სიტყვების ანაბეჭდი—ჩამოსხმული სტრიქონები. შემდეგ ამ გამოყენებულ სპილენძის ნიშნებს იტაცებს რკინის თათი და ალაგებს ისევ ბრტყელ ყუთში, თავ თავის ადგილას.

⁂

საღამოს ხუთი საათიდან რედაქციაში თავს იყრიან რეპორტიორები. ისინი დილიდანვე დარბიან ერთი დაწესებულებიდან მეორეში. ეძებენ „საკბილოს", იწერენ უბის წიგნში. თითეულ მათგანს თავისი მოქმედების ფარგალი აქვს: ერთია „ვაჭრობის სახალხო კომისარი"—მას არ უნდა გამოეპაროს, თუ რა ხდება ბაზარზე; მეორეა „გზათა კომისარი", მესამე—„იუსტიციის კომისარი", მეოთხე—„ჩიჩერინი"- მას დავალებული აქვს „დიპლომატიური" დარგი: არ უნდა გამოეპაროს არავისი ჩამოსვლა და განსაკუთრებით უცხოელების.

მდივანთან თავს იყრის რეპორტიორების მთელი დღის „ნადავლი", მას უერთდება გასწორებული დეპეშები და მთელი ეს მასალა იგზავნება გაუმაძღარ ლინოტიპების დასაკმაყოფილებლად.

⁂

ღამის ათი საათი ხდება. რედაქტორის ოთახში უკვე თათბირია მეთაურის მორიგ თემაზე.

ამ დროს იწყება სიცოცხლე „ჩვენს" სამეტრანპაჟო განყოფილებაში, სადაც იკვრება „კომუნისტი" („ჩვენსო —ვამბობ იმიტომ, რომ იქვე იკვრება „ახალგაზრდა კომუნისტი", „მუშა", „წითელ არმიელი", „ახალი სოფელი"). ჩვენი მეტრანპაჟი, დაუბერებელი ვასო მოსულია და მთავარსარდალივით იძლევა განკარგულებებს. მას გვერდით უდგას გამომშვები და მიცემული რიგის მიხედვით ალაგებენ მასალებს—„აყენებენ გვერდებს",—როგორც საგაზეთო ჟარგონზე ამბობენ ხოლმე.

გამომშვები არჩქარებს კორექტორებს, მეტრანპაჟი კი—მორიგეებს, რომლებიც მანქანაზე გასწორებულ სვეტებში ცვლიან შეცდომიან სტრიქონებს.

რედაქტორის „კაბინეტში" თათბირი გათავდა. არჩეულია მეთაურის თემაც და „მსხვერპლიც", რომელმაც მეთაური უნდა დასწეროს.

პირველის ნახევარმა მოატანა. უკანასკნელი დეპეშები მოვიდა, გადაითარგმნა, გასწორდა, გადაეცა ასაწყობათ, მეთაურიც მზად არის.

სამდივნოში მთავარი დეპეშების შინაარსი მოკლედ გადააქვთ ე. წ. „ანშლაგებში", რომ მკითხველს მეორე დღეს ერთბაშად ეცეს თვალში, თუ რა არის მთავარი და ყველაზე საინტერესო გაზეთში.

მთელი მასალა ჩაბარებულია. მისაღებია მხოლოდ უკანასკნელი ცნობები, რომელიც ნაშუაღამევის ორ საათზე უნდა მოვიდეს. რედაქციაში რჩება „ღამის რედაქტორი", მორიგე მთარგმნელი და ერთი-ორი ჭადრაკის მოტრფიალე.

უკანასკნელი ცნობებიც მოვიდა. იწყება უკანასკნელი გვერდების შეკვრა.

დილის ხუთი საათისათვის ყველაფერი მზადაა (ბედნიერი მორიგე!). უკანასკნელი გვერდი ჩავიდა „დაბლა", სასტერეოტიპო განყოფილებაში, სადაც მას ჩასდებენ პრესში, ზევიდან სპეციალურ კარტონს დაადებენ და პრესს აამუშავებენ. კარტონზე რჩება ანაბეჭდი, ამ ანაბეჭდს შემდეგ აშრობენ, სდებენ სპეციალურ მანქანაში და მისგან ჩამოასხამენ ლითონის ანაბეჭდს, რომელიც სამანქანო განყოფილებაში მიდის.

აქ დგას საროტაციო—სწრაფლმბეჭდავი მანქანა, ჩამოსხმულ გვერდებს ამაგრებენ საროტაციო მანქანის ლერძებზე და ჩქარა მანქანა იწყებს გუგუნს: რულონები—მორგვათ დახვეული საგაზეთო ქაღალდი ელვისებური სისწრაფით იშლება და იქცევა დაკეცილ გაზეთებად.

ახლა იწყება საექსპედიციო განყოფილების მუშაობა. აქ უკვე თავმოყრილი არიან გაზეთის დამტარებლები და დილა ადრიან (სამწუხაროდ, ხშირად ძლიერ გვიან) ქალაქს ეფინება გაზეთის მორიგი ნომერი. ამავე დროს მატარებლის საბარგო ვაგონი მიაქროლებს მაგრათ შეკრულ გაზეთების გროვას, სტოვებს სხვადასხვა სადგურებში, საიდანაც გაზეთი იგზავნება სოფლებში.

ასე თავდება საგაზეთო დღე და ერთი არ არის გათავებული, რომ იწყება მეორე.

ე. წ—ძე.

მლაშე ტბასთან

ნიკო ასლამაზაშვილი

I

— ადე, მიხა, ადე, დღეს პირველი მაისია,—დასჩხავლა თავზე მძინარე ამხანაგს ლადომ.

— მერე რა, რომ პირველი მაისია? შეეკითხა გამოღვიძებული მიხა და მეორე გვერდზე გადაბრუნდა.

— მერე ის, რომ ნაძალადევს იქეთ, მლაშე ტბასთან მუშები მოიყრიან თავს პირველი მაისის სადღესასწაულოდ.

ამ სიტყვების გაგონებაზე მიხა მარდად წამოხტა, ტანთ ჩაიცვა, პირი დაიბანა და ორიოდ წუთის შემდეგ უკვე მზად იყო წასასვლელად.

—დღეს „შპიკები" განსაკუთრებით ფხიზლად იქნებიან და ამიტომ ჩვენც ფრთხილად უნდა ვიყოთ, სთქვა ლადომ.

— სრული სიმართლეა,—იყო პასუხი მიხასგან,—სიფრთხილე გვმართებს.

მიხამ ოთახის კარი გამოკეტა და ლადოსთან ერთად ქუჩაში გამოვიდა.

II

ჩუღურეთის ვიწრო ქუჩებით არსენალისკენ მიიმართებოდა ორი ამხანაგი, რომ იქედან მინდორ-მინდორ მლაშე ტბასთან მისულიყვნენ.

— დღეს პირველად ვდღესასწაულობთ პირველ მაისს, და ამას იქით კი ყოველთვის ვიდღესასწაულებთ, — მხიარულად ჰიკჰიკებდა ლადო.

— კეთილი, ვიდღესასწაულოთ.

— წითელ დროშასაც ავაფრიალებთ.

— ავაფრიალებთ.

— მარსელიოზას ვიმღერებთ.

— ვიმღერებთ...

— აი, ის გორაკი, რომ გადავიაროთ, პირდაპირ მლაშე ტბას მივადგებით,— სთქვა მიხამ და შეუდგნენ ხევს გადაღმა მდებარე გორაკს.

III

ხელის გულივით გაშლილ მინდორზე ასამდე მუშას მოეყარა თავი, თან მოეტანა საჭმელ-სასმელი და ელოდებოდნენ ზეიმით ნადიმის დაწყებას.

აქეთ-იქით კიდევ მოდიოდნენ თითოოროლა მუშები.

უცებ წითელი დროშა აღიმართა, აფრიალდა, ჰაერში.

— გაუმარჯოს პირველ მაისს,— დაიძახა მედროშემ.

— გაუმარჯოს, გაუმარჯოს,— ერთხმად შესძახა ყველამ.

გრძელი ტარით მიწაში დარჭობილ წითელ დროშას ოდნავ არხევდა წყნარად ნიავი.

მიხა და ლადო სიამოვნებით შესცქეროდნენ მას და აღტაცებით მეოცედ კითხულობდნენ ოქროს ასოებით დროშაზე წარწერილ ლოზუნგებს: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!". „რვა საათის სამუშაო დღე".

— ლადო, თუ მოვესწრებით, ჩვენ ამ რვა საათის სამუშაო დღეს.

— ჰაი, ჰაი, რომ მოვესწრებით, უპასუხა ლადომ.

— ამხანაგებო, დასხედით,— გაისმა ვილაცის ხმა და ყველანი ალყად შემოუსხდნენ დროშას.

დაიწყო ნადიმი.

ორატორები რიგ-რიგად გამოდიოდნენ.

დროშასთან დგებოდნენ და მხურვალე სიტყვებს ამბობდნენ.

— ვფიცავ ამ წმინდა დროშას, რომ მომავალ წელს ეს დროშა შიგ ქალაქში აფრიალდება,—ამბობდა ერთი ორატორი.

— ვაშა-ვაშა-ვაშა-დაიგრიალა ხალხმა და ეს ხმა გუგუნით მოედო არე-მარეს.

IV

საღამო ხანს გათავდა ზეიმი.

ოქროს წარწერებიანი დროშა ლამაზად მოფრიალებდა მოზეიმეთა შორის.

ქალაქთან მოახლოვებისას დროშა დაკეცეს და შეინახეს.

ნახულ-გაგონილით ნასიამოვნები ხალხი დაიშალა.

მიხა და ლადოც მხიარულად გაემართნენ თავიანთ ბინისაკენ და მოუთმენლად ელოდნენ მომავალ წელს, რომ თვალით ენახათ შუა ქალაქში აფრიალებული წითელი დროშა.

და ნახეს კიდეც...

ნიკო ასლამაზაშვილი.

მანქანა და მოსავალი

აგრონომი ვ. ხოფერია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთ-ერთ მძლავრ ფაქტორს მოსავლიანობის აწევის საქმეში წარმოადგენს გაუმჯობესებულ სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების გავრცელება და განსაკუთრებით მანქანა-იარაღების წესიერათ გამოყენება.

განსაკუთრებული ზომებია მიღებული ხელისუფლების მიერ, რომ სოფლის მეურნეობის მექანიზაცია სწრაფათ განვითარდეს. მანქანა-იარაღების დამზადებისა და გავრცელების საქმეში დიდი მიღწევები გვაქვს.

თუ 1913 წ. მანქანების მიწოდებისათვის ყოფილ რუსეთის იმპერიაში იხარჯებოდა 112 მილიონი მანეთი, 1928 წ. მანქანების მიწოდებაზე დაიხარჯა 30 პროც. მეტი. მიმდინარე 28/29 წელს მანქანების გამოშვების და გავრცელების პროგრამა 1927/28 წელთან შედარებით გადიდებულია 36 პროც. მეტით და 1932/33 წლისათვის გეგმით გათვალისწინებულია მანქანების 4-ჯერ მეტი რაოდენობის გამოშვება, ვიდრე 27/28 წ. გარდა რაოდენობით ზრდისა, მანქანა-იარაღები თვისობრივადაც უმჯობესდება. ფასი მანქანებზე უდრის ომამდელ, არსებული საპრეისკურანტო ფასებს.

ტრაქტორებს ამზადებს პუტილოვის ქარხანა, რომელიც 1928/29 წელში გამოუშვებს 3.000 ცალ ტრაქტორს. ახლო მომავალში დამთავრდება სტალინგრადის სატრაქტორო ქარხნის აშენება და განზრახულია კიდევ ტრაქტორის ახალი დიდი ქარხნის აგება ურალზე.

მანქანა-იარაღების გავრცელებას საქართველოში დიდი ყურადღება ექცევა. განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანია საქართველოს სოფლის მეურნეობის სწორი და შეუცდომელი მექანიზაციის გასატარებლად საცდელი სადგურის დაარსება.



პროფ. ამირეჯიბის სახელობის მანქანა-იარაღების საცდელი სადგური. აქ სწარმოებს საქართველოსათვის შემოტანილი მანქანა-იარაღების გამოცდა.

საქართველოში მეორე წელია, რაც დაიწყო მუშაობა პროფესორ ამირეჯიბის მეთაურობით, მანქანა-იარაღების საცდელმა სადგურმა. ამ სადგურის დაარსების წყალობით ამ მოკლე დროის განმავლობაში ჩვენს ქვეყანას აქვს დაუფასებელი მიღწევები ნიადაგისა და რელიეფისათვის შესაფერი მანქანა-იარაღების შერჩევისა და გავრცელების საქმეში. ამჟამად სადგური აწარმოებს მანქანა-იარაღების საბოლოვო მიკრორაიონებას.

იმის ნათელსაყოფად, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მანქანა იარაღებს მოსავლიანობის აწევისა და შრომის რაციონალიზაციისათვის, მე მოვიყვან რამოდენიმე მაგალითს: კავებისა და ხის გუთნების შეცვლით რკინის გაუმჯობესებული გუთნებით, მოსავალი მოიმატებს 20 პროც. გარდა ამისა წევის ძალაში ყოველ წლიურათ მივიღებთ დაზოგვას 20 პროც. მაინც.

მოსავლიანობის მომატება შედეგად მოსდევს განსაკუთრებით გაუმჯობესებულ იარაღებით მიწით უკეთ დამუშავებას, რაც იწვევს ნიადაგის სტრუქტურის გაუმჯობესებას და ნაწილობრივ ხარვეზობის შემცირების გამო სარეველა ბალახების ძლიერ შემცირებას.

ხორბლის მოსავალი რკინის გუთნების შემოღებით დღეს არსებული ნათესების სივრცეზე მოიმატებს 43.000 ცენტნერით ანუ 258.000 ფუთით; ქერი—15.170 ცენტნერით ანუ 91.000 ფ. სიმინდი—97.860 ცენტნერით ანუ 587.160 ფუთით. სულ კი მივიღებთ 156.030 ცენტნერ ანუ 407.160 ფუთ ზედმეტ მოსავალს. ფარცხებით და მწკრივში სათესით დამუშავებული მიწა მოსავლიანობას ადიდებს 20 პროც.

სარკვევ მანქანაში გადარჩეული სათესლე მასალა მოსავალს უმატებს 10 პროც. რაც მარტო ხორბლის დასათეს სივრცეზე მოგვცემს 135.000 ცენტ. ან 811.800 ფუთ ზედმეტ მოსავალს.

ზევით—სახ. უნივერსიტეტის აგრ. ფაკულტეტის სტუდენტები სწავლობენ გუთნის წესიერად დაყენებას—ქვევით—სტუდენტები არკვევენ ხნულის სიღრმეს.



ზევით—სტუდენტებს უხსნიან თეფშებიანი ფარცხის მნიშვნელობას და გამოყენების წესს.

ქვევით—თეფშებიანი და კბილებიანი ფარცხის ერთდროულად გამოყენება ტრაქტორის საშუალებით.

როგორც ამ ციფრიდან სჩანს, მოსავლიანობის აწევისათვის გაუმჯობესებულ მანქანა-იარაღებს აქვს დიდი მნიშვნელობა. საქართველოში მანქანა-იარაღების გამოყენების მცოდნე პირები ძლიერ ნაკლებათ არიან, რისთვისაც განზრახულია მიმდინარე წელს და მომავალშიაც მოეწყოს მაზრებში მოკლევადიანი კურსები აგრონომიული უცოდინარობის სალიკვიდაციოთ. კურსების პროგრამაში განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა მანქანა-იარაღების მოხმარების უცოდინარობის ლიკვიდაციას, კურსებზე გატარებული იქნება სოფლის მოსახლეობის აქტივი.



სტუდენტებს უხსნიან თეფშებიანი სათესი მანქანის მოხმარების წესებს.

მიწადმოქმედების კომისარიატს განზრახული აქვს მოსავლიანობის გადიდების საქმიანობაში უშუალოთ ჩააბას რაც შეიძლება მეტი სოფლის მუშა. ამ მიზნით მოკლე ხანში მთელს საქართველოში შემოღებული იქნება აგრორწმუნებულების ინსტიტუტი.

პროფ. ამირეჯიბის კონსტრუქციის დაზგაზე სწარმოებს ძნის შესაკრავი ბაწრის გამძლეობის გამოცდა.

აგრორწმუნებულები იქნებიან უახლოესი პირები აგრონომებთან, რომელთა საშუალებით აგრონომები გაატარებენ ღონისძიებებს მოსავლიანობის გასადიდებლად, აგრო-რწმუნებულთა ინსტიტუტის შემოღებით სოფლის მეურნეობას ემატება ახალი არმია აქტიური მომუშავეებისა მოსავლიანობის აწევის საქმის ფაქტიური განხორციელებისათვის. აგრორწმუნებულები ამორჩეული იქნებიან ღარიბ და საშუალო გლეხების წრიდან; არჩეული იქნებიან ისეთი პირები, რომელნიც ცნობილი არიან, როგორც აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწენი, სოფლის მეურნეობი კარგათ მცოდნენი, აქვთ ავტორიტეტი და ნდობა, აქვთ მიღწევები ამა თუ იმ სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის გადიდების დარგში, აქტიურ მონაწილეობას იღებენ სოფლის მეურნეობის განვითარებისა და მოსავლიანობის გადიდების საქმეში. სასურველია ყოველ 100 კომლზე მოდიოდეს ერთი აგრორწმუნებული.

კოლექტივებში აგრორწმუნებულის მოვალეობას შეასრულებს კოლექტივის გამგეობის თავმჯდომარე. აგრორწმუნებულები თანდათანობით გატარებული იქნებიან მოკლევადიან კურსებზე.

აგრორწმუნებულები იმუშავებენ ადგილობრივ აგრონომის ხელმძღვანელობით და დაეხმარებიან საბჭოთა ხელისუფლებას აგრო-ღონისძიებათა გატარებაში. პარალელურად აგრორწმუნებულების ინსტიტუტის შემოღებით განზრახულია გატარდეს სავალდებულო დადგენილება აგრომინიმუმის შეძოღებაზე. აგრომინიმუმში შევა ისეთი ღონისძიებანი, რომელნიც ადვილი გასატარებელია გლეხობის მიერ და რომელთა გატარებით შესაძლებელი იქნება მოსავლიანობის უტყუარი გადიდება.

აგრ. ვ. **ხოფერია.**

გლეხკაცის ნააზრევიდან

ი. ლისაშვილი.

ჩვენს სოფელში ხშირად საუბრობენ ამის შესახებ:
პატარა ბავშვი ფეხშიშველა გოჭებს დავსდევდი,
დილაზე ადრე დავაფრენდი ცვრიან ბალახებს
და მახარებდა სიყმაწვილის ასეთი ბედი.

—

რა მოხდა შემდეგ კარგად არ მახსოვს, მამა ჩემი
ვინ წაიყვანა ციმბირისაკენ გულმოფლეთილი,
მას სულ უბრალოდ უთავაზეს ეს განაჩენი,
რადგან ის იყო მშრომელი და თანაც კეთილი.

—

მე მახსოვს მხოლოდ დამძიმებულს ჯაჭვების რგოლით
წელში მოხრილი ტუსაღები ჩიბუხს ბერავდა,
და ხის წვეროდან დავინახე თამბაქოს ბოლი,
რამაც ღრუბლები განთიადზე შეაფერადა.

—

ეს მოხდა მაშინ გაზაფხულზე, მზის ამოსვლამდე
სანამ მინდვრებში ყვავილები ფრთებს გადაშლიდა.
მამასთან ერთად წაიყვანეს კაცი ასამდე
და ძაღლის ყეფა, სევდიანი, უფრო გაზშირდა.

—

ასე გათავდა ყველაფერი მამის შესახებ.
მას შემდეგ მისი არ მინახავს ჩიბუხის ბოლიც,
მხოლოდ ეს მახსოვს სისხლიანი მიჭქონდა სახე
და თვალებიდან ვარდებოდა ცრემლების ბოლი.

—

ახლა ჩვენ სოფლად ყველაფერში სიახლეს ვხედავ
გლეხის ცხოვრება წისქვილივით შემოტრიალდა
და ვით ქალაქში ისე სოფელს სხვა მზეც დახედა
დიდ ოქტომბერმა ჩვენი ყოფაც გაადიადა.

—

ჩვენ გავაშენეთ ვენახის და ჩაის კულტურა
სადაც ჩხაოდენ უდარდელად უწინ ტურები
და კოლექტივმა ერთსულოვნად დაადასტურა.
რომ გავაძევოთ კულაკი და სხვა მაცდურები.

—

ეს ყველაფერი მე მგონია ჩვენც გაგვეგება
არავის უყვარს ვაჭარი და კაცი მცარცველი
რომლებიც მხოლოდ ნაბიჯებზე ისე გვედება:
როგორც ფოთლები ჭადარიდან ჩამონაცვენი.

—

ვხედავ გულიდან ისე მოდის დღეს სიხარული
როგორც სხივები განთიადზე მთების წვეროდან
ეხლა ჩვენს გულში აღარ არის რამე ფარული,
და ჩვენ ველირსეთ რასაც ბევრი არ მოელოდა.

—

სოფელში ეხლა ყველაფერში სიახლეს ვხედავ,
გლეხის ცხოვრება წისქვილივით შემოტრიალდა
და ჩვენს ქოხებში სხვანაირად მზემ ჩამოხედა
დიდ ოქტომბერმა ჩვენი ყოფნაც გაადიადა.

ი. ლისაშვილი.

ფოტო-აპარატით მთაში და ბარათ

შ. ფურცხვანიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტეხნიკუმში სწავლის დროს ხშირად დამებადებოდა ხოლმე დიდ მანძილზე ფეხით მოგზაურობის აზრი და თავიდან არ მშორდებოდა. მაინტერესებდა, თუ რამდენად მართალი იყო სხვა ტურისტების ნაამბობი, მაინტერესებდა, შეეძლო თუ არა ნამდვილად ადამიანს ფეხით რამოდენიმე თვეობით სიარული და რა კმაყოფილებას გრძნობდნენ ამ მოგზაურობის დროს.

დაინტერესებულმა შევიარე განათ. კომისარიატთან არსებულ საექსკურსიო - ტურისტულ ბიუროში. ჩემი აზრი გავაცანი ბიუროს. სიხარულით შემხვდნენ, გამიმზადეს მოწმობა, მარშრუტი, მომცეს სხვადასხვა რჩევა-დარიგება და 1928 წ. ივნისის პირველ რიცხვებში დავტოვე თბილისი.



ხევსური სოფ. ბლოდან

მივდივარ ფეხით, მიმაქვს თან ფოტო-აპარატი, მაინტერესებს უმთავრესად გლეხობის ცხოვრება და მინდა თვალით ნახულის უფრო კარგად დასახსომებლად მქონდეს ფოტო სურათები, რომელთა საშვალებითაც სხვებსაც ნათლად დავანახვებ სხვადასხვა კუთხეების ხალხის ცხოვრებას, ბუნების სილამაზეს და სხვ. გავიარე მანგლისი, გადავედი წალკის რაიონში, აქ ცხოვრობენ ბერძნები, თათრები და სომხები, ეწევიან მიწის მუშაობას და მესაქონლეობას. ტყეები სრულებით არ არის.

ბლომათ მოიპოვება სიძველეთა ნაშთები.

წალკიდან გადავდივარ ახალქალაქში, იქიდან ახალციხეში, ახალციხიდან კურორტ აბასთუმანში, აბასთუმანიდან კი ზეკარის უღელტეხილის გადავლით ჩავდივარ ქუთაისში.

ფეხით სიარულს უკვე ძლიერ მივეჩვიე, ფეხები აღარ მტკივა, დღეში 60—70 კილომეტრს თავისუფლად გავდივარ. ერთი ღამის დასვენება სრულიად მაკმაყოფილებს და მეორე დილით ისევ თამამად ვაგრძელებ გზას.

ქუთაისიდან რკინის გზით ჩავდივარ სად. შორაპნამდე, აქედგან კი სოფ. ტყემლოვანა - სვირის გავლით კი—ქ. ჭიათურაში. ჭიათურიდან მივდივარ რაჭისაკენ. გავიარე ს. ჯრუჭი და ჩქმერი და ჩავედი ონში.

გზა და გზა ალმასკომები შეძლებისდაგვარად მეხმარებიან, რითაც დიდათ კმაყოფილი ვარ. უკვე ორი თვე გავიდა, რაც ფეხით მივდივარ. ორი თვეა მას შემდეგ, რაც ახმაურებული თბილისი დავტოვე. გზა კიდევ დიდი მაქვს გასავლელი მივდივარ წინ. საინტერესოა იმ ხალხის ნახვა, რომელნიც კულტურას მოწყვეტილი არიან და უდარდელად ქალაქს გარეშე სცხოვრობენ მთებში.

გადავედი კურორტ შოვში. შოვი ახალი აგარაკია, ლამაზი და ბუნებით საქართველოს ყველა აგარაკებზე უფრო დაჯილდოვებული. ყოველ ფეხის გადადგმაზე აქ შეხვდებით სხვადასხვა გვარ მინერალურ წყლებს.

მივდივარ წინ, მამისონისაკენ. შოვს გავსცილდი თუ არა, ლამაზი ბუნება გაჰქრა და მალე მამისონის შიშველი მთის გადასავალზე მოვექეცი.

დავტოვე რაჭა. აქეთა მხარე უკვე ოსეთია. გამოჩნდენ თოვლიანი მთები სამხ. ოსეთისა.

გადავიარე პატარ-პატარა სოფლები და ჩავდივარ ს. ზარამაგში. ზარამაგიდან ისევ წინ! შევდივარ მყვირალა კასსარის ხეობაში. თავს დამცქერის უზარმაზარი ველური კლდეები, რომლებიდანაც მოსჩქეფენ წყალვარდნილები და მისი ხმაური უერთდება ისედაც ძალზე მყვრალ მდინარე არდონს.

ისევ მივდივარ კასსარის ხეობით. არ თავდება კლდეების მწკრივი და რაც წინ მივდივარ უფრო ლამაზდება ხეობა. აგერ არდონს შეუერთდა ცეიდნი და უფრო მეტი ძალა და ხმაური შესძინა ისედაც მყვირალა და ქვიდან ქვაზე გადამჩქეფარე არდონს. დაუსვენებლად მივდივარ ქ. ალაგირში. უეცრად სწყდება ხმაური. კლდეებიც ჰქრება და გაშლილ, ფართო კალაპოტში მიიზლაზნება არდონი დამშვიდებულად და დინჯად, თითქოს დაიღალა ამდენი ბრძოლით და ისვენებსო. სადღაა მისი სილამაზე, კასსარის ხეობაში რომ ყვირის და ჰგლეჯს ნაპირებს უშველებელ კლდეებისას!

სოფ. არდონ-არხონკას გავლით ჩავდივარ ქ. კავკავში. კავკავი ლამაზ ქალაქად მეჩვენა, მთლად მწვანე ბაღებშია მოქცეული.



ხევსურეთი.—ჯიუხის მთები.

კავკავიდან დავადექი საქ. სამხედრო გზას. ლამაზია საქ. სამხედრო გზა, ვიწრო დარიალის და გუდამაყარის ხეობით. სილამაზით უპირატესობა ოსეთის სამხედრო გზას ეკუთვნის. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ოსეთის სამხედრო გზა ძლიერ გაფუჭებულია. სამაგიეროდ კასსარის ხეობა უფრო ცოცხალია, უფრო მჩქეფარეა და ლამაზი თავისი კლდოვანი ხეობით და მქუხარე ჩანჩქერებით.

ჩამოვდივარ ყაზბეგში.

თოვლით დაფარული მყინვარწვერი ლამაზად გადმოჰყურებს სოფ. ყაზბეგს.

სხვა ექსკურსანტებთან ერთად ავედი მყინვარწვერზე. ჩვენი გამცილებელი წინ მიგვიძღვის, რკინის წვეტიანი ჯოხებით ძლივს მივდივართ ვიწრო ყინულოვან ბილიკებზე. ამინდი ხელს არ გვიწყობს, გავეხვიეთ შავ ღრუბლებში და ციცინათელებივით გვეხვევა ელექტრო-ნაპერწკლები. დავბრუნდი ისევ ყაზბეგში.

* * *

დილის 5 საათზე დავადექი სნოს ხეობას. ჩავედი ორ საათზე ხევსურეთის პირველ სოფ. კარკუჩში. ერთ ეზოში დავინახე გლეხები (მოხევეები), რომელნიც ზოგნი ქვებზე ჩამომსხდარიყვნენ, ზოგიც პირდაპირ მიწაზე იჯდა და მუსაიფობდნენ.

მისვლისთანავე მომესალმენ და გაიბა ჩვენს შორის საუბარი. უთხარი მათ, თუ რისთვის მოვსულვარ მათთან და საით მივდივარ. ძლიერ გაუხარდათ ჩემი მოგზაურობა, მაგრამ ხევსურეთში გადავლას არ მირჩევენ. თუმცა ეს სოფელი ხევსურეთის გზაზეა, მაგრამ აქ მოხევეები სცხოვრობენ, რომელნიც თავიანთ თავს ხევსურებზე მაღლა აყენებენ და მე მეუბნებიან:

— რაი გინდ ხევსურეთშია, ხევსურნი გონჯი ხალხია, ცოდო ხარ.

ამ დროს მოისმა ცხენების თქარა-თქური.

— აგერა მოდიან ისინიც,—და ყველამ იქით გაიხედეს, საიდანაც ცხენების ფეხის ხმა მოისმა. უეცრად ცხენები ჩვენს თვალწინ გაჩნდენ. ხევსურები მარდათ გადმოხტნენ ცხენებიდან და მოგვესალმენ.

უკვირდები ამ ხალხს, რომელნიც თავიდან ფეხებამდე ცხვრის ტყავსა და მატყლში არიან გახვეულნი. ყველას თან აქვს ფარი და ხმალი, რომელზედაც წამდაუწუმ იჭერენ ხელს. ერთ მათგანს, ახალგაზრდა ხევსურს, მიუახლოვდი და დაუწყე მუსაიფი:

კავკავი.—ლენინის ძეგლი თეატრის შენობის წინ

— სად მიხვალთ ძმობილო?

— სტეფანწმინდაჩია, ტვავ მიგვაქ გასაყიდლადა.

— მერე მთაში ფული რათ გინდათ?

— არ გვჭირდებოდეს, როთ გვინდოდეს. გადასახადჩია გვჭირ, ოც წელ მგონ მეტ ვარ სტეფანწმინდასა არც მივლ.

— რატომ არ გივლია სტეფანწმინდაში?

— რაი მინდის. მთაჩი სჯობს იალაღჩია, არა გვეზლის რა.

აი, თურმე საქმე რაში ყოფილა. სასოფლო სამეურნეო გადასახადი ამათ ქალაქთანაც აკავშირებს, ფულს ეცნობიან და ქალაქის ცხოვრებას ხედავენ და ნელა-ნელა ამ კავშირგაბმულობით ისინიც მოინათლებიან, ისინიც გახდებიან კულტურულნი.

— კარგი. ფარ ხმალს რათ ატარებთ? განა შენს ფარს ტყვია არ გასჭრის?

ამ სიტყვების გაგონებაზე ახალგაზრდა ხევსურმა მთელი თავისი სახის ამაყი გამომეტყველებით შემომხედა და მითხრა:

— ვაჟკაც ფარ ხმალ ბრძოლად სჭირდების. ვაჟ სწორ იარაღით გასწორდების, უიარაღოსა არა სვრიდეს, ესვრის—დიაც იქნების, ჭვარ გაუსწორდების მაშა!

სიტყვა დაამთავრა თუ არა, მეტი აღარ დაიცადეს, ყველანი მარდათ მოახტნენ თავიანთ ცხენებს და მალე თვალს მიეფარნენ.

ღამე მოხევეებთან დავრჩი.

დილით ადრე გაუდექი გზას ხევსურეთისაკენ.

მივყვები ვიწრო ბილიკს, მივდივარ მაღლა და მაღლა. ლამაზი სნოს ხეობა რჩება უკან, გზაში მხვდებიან ხევსურები ცხენებით, მიდიან ყაზბეგში. ვიღებ მათ სურათებს სხვადასხვა მდგომარეობაში და მივდივარ წინ.

⁂

ჩავედი სოფელ ჯუთაში.

დავბინავდი აქ ერთ გლეხთან (სოფ. საბჭოს წევრი), რომელთანაც ძლიერ ბევრი ვიმუსაიფე ხევსურების შესახებ.

ამ სოფელში მთიელთა კულტურულ საზოგადოების უჯრედიც ყოფილა, რომელიც ჯერ-ჯერობით აერთიანებს ოცამდე კაცს და ქალს. გლეხები ძლიერ დაინტერესებული არიან სწავლით. უჯრედს მოსდის უფასოდ გაზეთი „ახალი სოფელი", რომელსაც ისინი გულდასმით კითხულობენ. უჯრედის მდივანი რამდენადაც შეუძლია უხსნის გლეხებს სხვადასხვა გაურკვეველ საკითხებს. მალე სოფ. ჯუთაში გაიხსნება სკოლა. გლეხები დიდის აღფრთოვანებით ელიან სკოლის აშენებას.

მივდივარ წინ. გადავიარე ბლოს გადასავალი და ჩავედი სოფელ ბლოში. დავბინავდი ერთ ხევსურთან—ბერდიასთან.

ბერდია ცხოვრობს ისე, როგორც საერთოდ ხევსურები. დაბალი ბანიანი სახლი, მი[illegible] ფხვიერი მთის ქვიშით მოტკეპნილი. [illegible] ბნელა, სინათლე ჩამოდის მხოლოდ ერდო[illegible] იატაკი მიწისაა. ყურეში გაკეთებულია სიპი ქვებისაგან შემდგარი „ლუმელი", მაღლა მუდმივ ბოლსა და მჭვარტლში მყოფი ბოძები ელავენ ცეცხლის შუქზე. კედელზე ჰკიდია სხვადასხვა საომარი იარაღები: ჯაჭვის პერანგები, ჯაჭვის ხელთათმანები, ფარები, შუბები, კაჟიანი თოფები და სხვ.

მიწაზე ყრია: პურის საზელი დიდი ხის გობი, სპილენძის სინები, დიდრონი ხის ლამბაქები ერბოსათვის საქალამნე ტყავები, თასმები, დიდრონი შუბები და ცხვრის რქები არაყისათვის.

საღამოა. ბერდიას სტუმრები ეწვივნენ. ვსხედვართ ცეცხლთან და შევექცევით შეჭამანდს, არაყი დიდი გუდით უდგას გვერდით ბერდიას და გულუხვად ავსებს ჯიხვებს. ხევსურები თასებით სვამენ გადამდნარ ერბოს და ხშირ-ხშირად აყოლებენ ზედ არაყს ხანდისხან, როდესაც გაქონილი ტუჩებით ჯიხვს გამოსცლიან, სასწრაფოთ გაავსებენ, თავიანთ ხელით მომიახლოვებენ ტუჩებზე და მეტყვიან:

— შასმიდე სტუმარო, ბერდიას ოჯახ საკეთილ მყოფელ.

მეც „შეურაცყოფას" არ ვაყენებ მათ და გადავკრავ ხოლმე მოწოდებულ არაყს.

კავკავი.—აუზი პროლეტარულ პარკში.

ვემუსაიფები. ბევრი, ბევრი რამ ახალი და საინტერესო გავიგე მათ ცხოვრებიდან, ბევრიც მათ უამბე მათთვის საოცნებო „ქალაქის" შესახებ და ღამის 11 საათზე მიესწრე - მოესწრევით მიწაზე დაყრილ თივაში, მასპინძელმა უხვად მოგვიტანა ცხვრის ტყავები, დავიხურე და თბილათ ვიძინე დილამდე, დილით ისევ წინ. მივხეტიალებ მარტოდ მარტო ხევსურეთის კლდეღრეებში. ეხლა ვხედები—რა ინტერესი ყოფილა ტურისტულ მოგზაურობაში, როდესაც დაღლილი რომელიმე სოფელს მივაღწევ, გლეხებთან ვიმუსაიფებ, მათ ყოფა-ცხოვრებას შევითვისებ და დილით ისევ ცოცხალი ძალით მივდივარ, არ მყავს მოსავლელი ცხენი, რომ მისი საკვებისათვის ვიზრუნო, არ გამომადგება თუნდაც მქონდეს ავტო ან ველოსიპედი. ჩემი ფეხები უფრო მემსახურებიან, უკვე დაღლას აღარა გრძნობენ. თავისუფლად მივდივარ. ხან გზაც დამებნევა [illegible]ში, დიდხანს ვწვალობ, ვეძებ კაცს, რომ მასწავლოს გზა. ვცდილობ დანიშნულ ადგილას დაღამებამდე მივაღწიო, მაგრამ ხშირია შემთხვევა, როდესაც გარეთ ვრჩები მთაში მარტო ან ლამაზ ტყეში, სადაც მარტოდ მძინარეს ნანინად მეჩვენება მგლების ყმუილი, შორიდან რომ ისმის.

მაგრამ, როდესაც ამ გაჭირვებას გადავიტან და რომელიმე სოფელში შევალ, დავისვენებ გლეხის სახლში და გავაბამ ტკბილ მუსაიფს სუფთა ჰაერი და ლამაზი ბუნება ისევ გამაქარწყლებს განვლილ გაჭირვებას და თითქოს [illegible]თი არც მომხდარიყოს, მივდივარ წინ.

ხევსურეთის ყველა სოფლების დაწვრილებით აღწერა ძლიერ შორს წაგვიყვანს, სჯობს გადავიდეთ უკანასკნელ სოფელში. ეს სოფელია არდოტი. აი, აქ თავდება ხევსურეთი და აწუნტის გადასავლით უნდა გადავიდე მთათუშეთში. არდოტში დავბინავდი ოჯახში. ჩემს მასპინძელს გავაცანი ჩემი განზრახვა: რომ მე მინდა ამ სოფლიდან აწუნთის გადასავლით გადავიდე თუშეთში, საზელდობრ სოფ. ჯონთიოში.

ეს რომ გაიგო ჩემმა მასპინძელმა, თავი გადააქნია და მითხრა:

— აწუნთა შენა გინდ გადხვიდე? დიდ ხანი არს მასზე არავის უვლ. შენა იქ რაი გინდის? ბორბალოს გადად, პანკისა ჩაივლ და თელავსა ჩახვ.

— არა, მე მინდა რომ თუშეთში გავიარო და მაინტერესებს აწუნთაზე გავლა.

— ვაჟ გულად კარგია! გეტყობის უშიშ ხარ. იმერ ხარ, უქიან მათ ვაჟკაცობასა. ვიფიქრათ ენაზ, ვეცდებ არ დაყოვნდე, საშიშ კი არს: ქისტებ დარბიან, დაგთოფვენ.

— ოოგოო?—ვკითხე მე.

— ქისტებ დაგთოფვიან, ბევრ ხევსურ მოუკვლისთ მათა. არ ისვეხიან, უნდობ ხალხია.

ამან კი შემაფიქრა, მაგრამ მაინც განზრახვას არ ვღალატობ, უნდა გადავიდე აწუნთაზე. საღამო დრო იყო, როდესაც ჩემი მანსპინძელი დაბრუნდა და მომიტანა ასეთი ამბავი: 5 ვერსის მანძილზე ამ სოფლიდან არის პატარა სოფელი ანდაქი, იქ მას ყავს ნათესავები, ახალგაზრდა ყმაწვილები, რომელნიც არ დაიზარებენ და გადამაცილებენ აწუნთაზე.

⁂

მეორე დღეს უკვე ჩემი არდოტელი მასპინძლის ნათესავების სახლში ვარ. შაბურამ და ბერდიამ კარგად მიმიღეს. გაიგეს რა ჩემი სურვილი, იმათაც დამიშალეს მთაზე გადასვლა, მაგრამ რაკი არ დავეთანხმე, შემპირდნენ, რომ ხვალ დილით ადრე მიმიყვანდნენ აწუნთამდე, იქით კი გავყვებოდი მდინარის პირს და ჩავიდოდი ჯონთიოში. ჩვენ კი იქ არ ვყოფილვართ და ვერც წამოვალთო,—დაუმატეს.

დაღამდა.

ბევრი ვემუსაიფე ჩემს მასპინძელს და როდესაც მოგვეწყინა მუსაიფი, გავედით მეორე ოთახში დასაწოლად მაღალ ფიცარზე. შაბურამ თივა ბლომად დააყარა, 4 ცალი ცხვრის ტყავიც იქვე დამილაგა დასახურავათ.

დილით, ბერდიამ და შაბურამ თოფები გასტენეს, თან დიდი ძველისძველი მამაპაპის ნაქონი ცალთვალა ბინოკლი წამოიღეს და გაუდექით გზას აწუნთისაკენ.

(დასასრული იქნება)

შ. ფურცხვანიძე.

აწუნთას გადასავალი (ხევსურეთიდან თუშეთში).

საქართველოს მუზეუმის კოლექციები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხევსურული კოსტიუმი

გ. ჩიტაია

ცნობილია, რომ განსაკუთრებული გეოგრაფიული მდებარეობის გამო ხევსურეთში მრავალი არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული ღირებულების ნაშთია შემონახული. სალ კლდეებსა და ღორღიან ხევებში მცხოვრებ ერთ მუჭა ხალხს დაცული აქვს მეცნიერული კვლევისათვის უდიდესი მნიშვნელობის ფაქტები, რომლებიც ჩვენ თვალწინ ადრინდელი კულტურული ისტორიის მნიშვნელოვან ფურცლებს შლიან. ამ ფაქტებში უაღრესად ღირებულია ხევსურული კოსტიუმი (საქ. მუზეუმში ხევსურული კოსტიუმის რამდენიმე კომპლექტი მოიპოვება).



ხევსური კოსტიუმში

ხევსურული კოსტიუმი სავსებით თავისებური და ორიგინალური ნიმუშია. არც ერთ კავკასიის ხალხს მსგავსი ტანთსაცმელი არ მოეპოვება.

ხევსური მამაკაცის კოსტიუმს შეადგენს: „პერანგი“, „ჩოხა“, შარვალი (ხევსურულად ის სახელი ეწოდება, რასაც ჩვენ პერანგის ამხანაგს ვეძახით), თავისებური შალის „ქუდი“, „ბაჭიჭი‘, რომელზედაც „საწვივეა“ შემოჭირებული, „წინდა“ და „ჯღანი“. გაუგებრობის ასაცილებლად უნდა ითქვას, რომ ხევსურული „პერანგი“ ისევე როგორც პერანგის ამხანაგი როდია ჩვენებური თეთრეული. საზოგადოდ ხევსური თეთრეულს არ ხმარობს. ამიტომ იქ „პერანგი“ პერანგიცაა და ხალათიც. იშვიათად შეიძლება მოხდეს, რომ ხევსურმა თეთრეული შეიკეროს; ასეთ შემთხვევაში თეთრეულს ჩითისას იკერავენ და „სარბილოს“ ეძახიან.

საზოგადოდ კოსტიუმის არსებით მხარეს მისი თარგები წარმოადგენს. თარგი იძლევა კოსტიუმის აგებულების, მისი შემადგენელი ნაწილების გაგების საშუალებას. თარგების შემწეობით ადვილად ხერხდება ტანთსაცმელის ამა თუ იმ ტიპის წარმოშობის გარკვევა და შედარების გზით მსგავსება-განსხვავების დადგენა ტანთსაცმელების სხვა ტიპებთან. ამ მხრივ ხევსურული კოსტიუმი თავისი უძველესი თარგებით ძვირფას მასალას წარმოადგენს.

სამწუხაროდ, ჩვენ აქ ვერ შევჩერდებით ხევსურული კოსტიუმის შემადგენელი ელემენტების თითეულ თარგზე. საილუსტრაციოდ მხოლოდ ხევსურულ პერანგის თარგს შევეხებით.



ხევსური პერანგში

ხევსურული პერანგის თარგი იძლევა: მიდგმულ სახელოს, ამოკერილ ჩაქიან გვერდებს, ამოღებულ საყელოს და შვეულ საკინძიან გულისპირის („ფარაგი“) ჭრილს. ამგვარი თარგი წარმომდგარია ისეთ სადა თარგისაგან, როდესაც პერანგს არ ჰქონდა სახელო და იგი მთლიანი ქსოვილის ნაჭრისგან „იკერებოდა“. დროთა ვითარებაში ეს პრიმიტიული ფორმა თანდათან განვითარდა, მას ახალი ნაწილები შეემატა და ხევსურული პერანგის სახე მიიღო (იხ. აქვე ხევსურული პერანგის თარგის წარმოშობის სქემა). ამ თარგის „პერანგი“ მეტად გავრცელებული იყო წინა-აზიის ხალხებში. მას ატარებდენ ხალდეველები, ხეთის ქვეყნის ხალხები (იხ. „დროშა“ №№ 5 და 6), ასურელები, ბაბილონელები და აგრეთვე ეგვიპტელებიც. ჩვენ დრომდე მოღწეულია მრავალი ისტორიული ძეგლი, რომელიც ამ ფაქტს ადასტურებს. სხვათაშორის ამ ტიპის პერანგი არქეოლოგიურ-გათხრებშიც არის აღმოჩენილი. ერთ-ერთი ასეთი განათხარი მასალა ეკუთვნის მე-XIV საუკუნეს ქ. წ. ამგვარივე პერანგი „კალასირის“ სახელით აღწერილი აქვს ჰეროდოტეს, (მე-V საუკ. ქ. წ. ისტორიკოსს). საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ ხევსურული პერანგის ტიპი მრავალი ნიშნების მიხედვით უძველეს ხანაში წინა-აზიის ხალხთა საერთო სახმარი ტანთსაცმელი უნდა ყოფილიყო.



ხევსურული პერანგის თარგის წარმოშობის სქემა.

ხევსურულ პერანგის შესახებ თქმულს თუ დავძენთ სტრაბონის ერთ ცნობას, სახელდობრ, რომ იბერიის (აღმოსავლეთი საქართველოს) მთიელები ჩაცმულობით სკვითებს (ჩრდილოეთ მცხოვრებთ), ხოლო იბერიის ბარელები მიდიელებს (სამხრეთის მცხოვრებთ) მიემსგავსებოდნენ, —შეიძლება ვიფიქროთ, რომ სტრაბონის დროს (სტრაბონი მოღვაწეობდა პირველ საუკუნეში ქ. შ.) ხევსურები თავიანთი წინააზიურ-სამხრეთული პერანგით ჯერ კიდევ არ ყოფილან მთებში შეხიზნული.

ხევსურული პერანგი მნიშვნელოვანია არა მარტო თავისი თარგით. იგი, როგორც ხევსურული კოსტიუმის სხვა ელემენტებიც, საყურადღებოა თავისი ორნამენტებით. ორნამენტების სახეები მრავალგვარია: „პეპელა“, „მწერა“, „თავმოკრილი“, „აკუშურა“, „ოთხკუთხაი“ (ჯვარი) და სხვა. ეს ორნამენტებიც უმეტესად წინა-აზიის ხალხთა ადრინდელ კოსტიუმის ორნამენტებთანაა დაკავშირებული. კერძოდ ჯვრის ორნამენტი, რომელსაც ხევსურები „ოთხკუთხაის“ და „ხატს“ ეძახიან ხევსურული პერანგის ტიპის ხალათზე გვხვდება მე-XV საუკუნეში ქ. წ. ჩრდილოეთ სირიაში. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ მკვლევარს, რომელთაც გათვალისწინებული არ ჰქონდათ ჯვრის ორნამენტის წარმოშობის ხანა—ჯვარი როგორც სიმბოლო და ორნამენტი ქრის-



სირიელებს ხარკი მიაქვთ ფარაონისათვის (1500 წ. ქ. წ.).

ტიანობაზე გაცილებით ადრინდელი მოვლენაა, — ხევსურული ოთხკუთხა ჯვრის ორნამენტს, შეცდომით, ჯვაროსნობის ეპოქას უკავშირებდნენ.

დასასრულ, მკითხველის ყურადღება ხევსურული პერანგის ერთ დეტალზე გვინდა შევაჩეროთ. ეს დეტალია პერანგის გულთან მარცხნით მიკერებული მძივებით შემკული „ჯიბა“, რომელიც თუმც „ჯიბას“ სახელს ატარებს, მაგრამ ჯიბის დანიშნულებას სრულიადაც არ ასრულებს. ვაჟკაცს რამდენად მეტი ასეთი ჯიბა აქვს „პერახგის“ გულზე, იმდენად იგი უფრო მოწონებულია. „ჯიბა“ ხევსური ქალის საჩუქარი და ნიშანია თავის მამაკაც სწორფერისადმი მიძღვნილი. სწორფრობა ხევსურეთში ცოლ-ქმრობის გარეშე ქალისა და ვაჟის მეგობრობის ინსტიტუტია. „ჯიბა“ ამ მეგობრობის სიმბოლოა.



ხევსურული ორნამენტის ნიმუშები

აგრეთვე მნიშვნელოვანია ხევსურული კოსტიუმის ჯლანიც იგი „კალაპოტით“ (თარგით) ხარის ტყავისგანაა გამოჭრილი. მისი ძირი თასმითაა მოწნული. ამგვარ ძოწნას ხევსურები „ბანდვას“ უწოდებენ. ჯლანს ძირში ბალახი უფენია ნოტიოსაგან ფეხის დასაცავად, გვერდებში შვეულადაა ჩაჭრილი. ასეთი ჭრილის ჯლანს ხევსურები „ლეკურად ჩაჭრილს“ ეძახიან, რაც იმას მოწმობს, რომ ჯლანის ეს ტიპი ხევსურებს მეზობელ ლეკებიდან უნდა ჰქონდეთ ნასესხები.



ჯლანი. — პირი და ძირი

ზემოთქმულის მიხედვით მკითხველისათვის აშკარა უნდა იყოს, თუ რამდენად მნიშვნელოვანი და ღირებულია ხევსურული კოსტიუმი კულტურის ისტორიის სამეცნიერო კვლევა-ძიებისათვის. ამას ხევსურული კოსტიუმის ორი-სამი ელემენტის განხილვაც ცხადყოფს.

გ. ჩიტაია

ახალი გამარჯვება ინდუსტრიალიზაციის ფრონტზე

მარცხნივ — ამუშავებული ღუმელი. — მარჯვნივ — მეორე ღუმელი, რომლის აგება 85 პროც. დამთავრებულია.

20 აპრილს ამუშავდა ქერჩის ლითონის ქარხნის პირველი ღუმელი.

ქერჩის ქარხანა არის პირველი ახალი საბჭოთა ქარხანა შავი ლითონის მრეწველობის დარგში, იგი წარმოადგენს არა მარტო შემდგომ ნაბიჯს უცხოეთზე დამოკიდებულებისგან მთლიანად განთავისუფლების გზაზე, არამედ აგრეთვე მძლავრ იარაღს ქერჩის ნახევარკუნძულზე მცხოვრებ ჩამორჩენილ მოსახლეობის—თათრების ჩასაბმელათ მრეწველობაში.

ქარხნის აგების დროს მუშაობა სწარმოებდა რაციონალიზაციისა და მექანიზაციის კანონების დაცვით. აგებული და დასამთავრებელი ღუმელები შენდებოდა ამერიკული ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. ამიტომ არის, რომ ამ ქარხნის პროდუქცია გაცილებით იაფი იქნება, ვიდრე საბჭოთა კავშირის სხვა მსგავსი ქარხნების პროდუქცია   წლის შემდეგ (ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია სამრეწველო პროდუქციის ფასების საგრძნობათ დაკლება).

ამუშავებული ღუმელი დღელამეში მოგვცემს 250 ტონა თუჯს, მეორე ღუმელი 85 პროცენტით დამთავრებულია და ამუშავების შემდეგ მოგვცემს 275 ტონა თუჯს დღე-ღამეში. მესამე — შენდება. მისი პროდუქცია იქნება—375 ტონა დღეღამეში. ქერჩის ქარხანა არის არა მარტო ლითონის ქარხანა. იგი მოგვცემს აგრეთვე მინერალურ სასუქს, რომელსაც ასე საჭიროებს ჩვენი სასოფლო მეურნეობა. ეს სასუქია—ტომას-შლაკი, რომელიც თუჯის დამუშავების დროს წარმოიშობა, როგორც დამატებითი პროდუქტი.

ხუთი წლის შემდეგ ქერჩის ქარხანა საბჭოთა კავშირს მისცემს ყოველწლიურად 600.000 ტონა თუჯსა და 250.000 ტონა ტომას-შლაკს.

ბალდათის ჰიდრო-ელ-სადგური

(ქუთ. მაზრა)

სახანძრო კოშკის აღსასრული

(თბილისის ცეცხლისმქრობელი რაზმის მუშაობა)

ა. ჩამოსული

ცეცხლი ერთ-ერთი უსაშინელესი სტიქიაა ადამიანისათვის და თვით ტელეფონისტი—ქალიც კი, ეს განსახიერება აუღელვებლობისა და სიდინჯისა, ისწრაფვის შესწყვიტოს ყოველგვარი საუბარი და შეკაერთოთ სახანძრო ნაწილთან.

პატარა ოთახში ავტო-მანქანების გვერდით მთელი დღეღამე მორიგეობს ტელეფონისტი.

მორიგე ტელეფონისტის ელექტრონულ სიგნალს ეზოში იმეორებს უზარმაზარი ზარი

როგორც კი მოისმენს, თუ სად გაჩნდა ცეცხლი, იგი სასწრაფოდ იძლევა ელექტრონის სიგნალს. ამ სიგნალს მაშინვე იმეორებს ეზოს ვეებერთელა ზარი და მეხანძრეთა ცხოვრების ჩვეულებრივი მშვიდობიანი ატმოსფერა ერთბაშად ძირფესვიანად იცვლება. მეხანძრე გაკრიალებული სპეციალური სვეტით პირდაპირ ავტომობილში ეშვება და უკვე მაშინ, როდესაც ავტომობილი საშინელი სისწრაფით გარბის, იმაგრებს ლითონის მუზარადს. ყოველივე ეს ხდება რამდენსამე წამში და მეხანძრე უკვე მზად არის ცეცხლის სტიქიასთან საბრძოლველად. ასეთი სისწრაფის მიუხედავათ, ყოველივე ეს კეთდება უხმაუროდ, რაიმე ზედმეტი მოძრაობის გარეშე—ხანგრძლივი მეცადინეობა და გაწვრთნა აჩვევს მეხანძრეს დაიცვას მოძრაობის ეკონომია.



10—15 წამის შემდეგ მეხანძრეები მზად არიან...

ხანძრის საწინააღმდეგო ტექნიკის ეხლანდელი მდგომარეობა თითქმის სრულებით სპობს სიცოცხლისათვის მოსალოდნელ საფრთხეს ცეცხლის ალთან ბრძოლის დროს, მაგრამ ეხლაც კი ხშირად ნამდვილი ენტუზიაზმი გაგიტაცებს, როდესაც ხედავ ამ ხალხის მედგარ ბრძოლას ხანძართან, როდესაც ხედავ, თუ როგორ ანთავისუფლებენ ისინი ცეცხლმოდებულ ტერიტორიას. ჩვეულებრივ ცხოვრებაში ამ გმირებს არავითარი გმირული რამ არ ახასიათებს. ესენი არიან ჩვეულებრივი დინჯი ადამიანები, რომელნიც მშვიდობიანად საუბრობენ ერთმანეთში, კითხულობენ გაზეთებს, ან, მოცლილ დროს, თამაშობენ დასასვენებელ კუთხეში.

საღამოობით, როდესაც მეხანძრეები თავს იყრიან საერთო საცხოვრებელში, ახალგაზრდობას უყვარს ძველ მეხანძრეთა მოგონებების მოსმენა წარსული დროის მუშაობის შესახებ. ეს იყო ძველ თბილისში, მიხვეულ-მოხვეული ვიწრო ქუჩებითა და ქუჩაბანდებით დაქსელილ თბილისში, ყოველ უბანში გაბნეული დუქნებით და და ლიპიანი ვაჭრებით, კუთხეებში მონუმენტივით გაჭიმული „გოროდოვოი"-თ, რომელიც იცავდა საკუთრების ხელშეუხებელ საფუძვლებს.

დახლვეული სახლები იწვოდნენ უმოწყალოდ, იწვოდნენ ყოველი მხრიდან და მეხანძრეთ ცეცხლის სტიქიასთან ბრძოლა უხდებოდათ ყოვლად უვარგისი საშუალებებით—ხელის სამუშაო ორი ტუმბოთი და ორი-სამი კასრით.

ძნელი დრო იყო...

ეხლა პირდაპირ სასაცილოდ გვეჩვენება ამ „სახელოვანი" ქარავნის ნაშთები, რომლებიც, კოლექციის სახით, გამოფენილია უზარმაზარ ავტოკიბეებთან და უახლესი კონსტრუქციის ავტომატთან, რომელიც წუთში 300 ვედრო წყალს იტყორცნის.

მოსაკეცი კიბე შესაძლებლად ხდის მეხუთე სართულზე ასვლას, გაზის ნიღაბში კი მეხანძრისათვის არ არის საშიში არავითარი ცეცხლი....

ქალაქში მეხანძრეთა მხოლოდ ერთი რაზმი იყო და ისიც სოლოლაკში, მახვილი ბურჟუაზიის უბანში. როდესაც ცეცხლი ქალაქის შორეულ უბანში გაჩნდებოდა, მეხანძრენი ისე გვიან მიდიოდნენ, რომ ხალხის ბრძოლა ცეცხლთან აშკარად უსარგებლო ხდებოდა.

ხოლო თუ ცეცხლი ერთსა და იმავე დროს ორ-სამ ადგილზე გაჩნდებოდა, დასახმარებლად გარბოდნენ მორიგეობიდან თავისუფალი მეხანძრენი ზურგზე მოკიდებული ვედროებით და კეტებით, ქვეითად.

ეს იყო ამ ოცდაათი წლის წინად.

ისტორია მეორდება და ოციოდე წლის შემდეგ, მენშევიკური ეპოქის აღსასრულის წინ, როდესაც მაზუთის უქონლობის გამო ჩერდებოდა ტრამვაი, ელექტრო-სადგურები და წყალსადენი, ხოლო სახანძრო რაზმის ცხენების ნაწილი ბატონ მინისტრებს დაატარებდა, კიდევ შეიძლებოდა გენახათ მეხანძრენი, რომელნიც ქვეითად გარბოდნენ ხანძრის ჩასაქრობად.

მეხანძრეები მეცადინეობაზე

ძველი თბილისი ისტორიას ჩაბარდა. ჩვენში უკვე საკმაოდ წამოიზარდა ოქტომბრის შემდეგ დაბადებულ ბავშთა თაობა, რომელსაც არასოდეს არ უნახავს ცოცხალი „გოროდოვოი". მხოლოდ სახანძრო კოშკი, რომელიც მჭიდროდ დაკავშირებულია ძველ დახავსებულ ეპოქასთან, როგორღაც შეუსაბამოდ ჯერ კიდევ წამოჭიმულა ქალაქის ვეებერთელა შენობების ზემოთ.

ქალაქის მშენებლობა გიგანტური ნაბიჯებით ვითარდება და ყოველი ახალი გამარჯვება მშენებლობის ფრონტზე, ყოველი ახალი ხუთექვს სართულიანი სახლი, თანდათან უფრო ზღუდავს კოშკზე მდგომი გუშაგის ჰორიზონტს. ის კი დღემდე წვიმაში, ქარში და თოვლში, მიდი-მოდის კოშკის ვიწრო წრეში, თავის ნაცრისფერ ბრეზენტის საწვიმარში გამოწყობილი.

ცხოვრებამ გვერდი აუარა სახანძრო კოშკს, მაგრამ დროს თავისი გააქვს—კოშკი იმდენად

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიზანი

არჩილ ჩაჩიბაია

მაღალი. წარმოსადეგი.

გრძელი, შავი თმები კისრებამდე დაცემული, რომელიც ნისლიან ტაიგებში ხეტიალით თუ გაეზარდა.

თვალები მკვეთრი, გამძლე.

სიტყვები მუდამ განზომილი, მოფიქრებული და საქმიანი.

ყველასათვის საყვარელი ადამიანი, მეგობარი და ამხანაგი.

ის ზის მაგიდასთან და მის გარშემო რამოდენიმე პარტიზანები დგანან: თვალები ჩაღლიროული, ჩაყვითლებული, ნაოჭიანი.

დაკონკილ ტანისამოსით, გახუნებულ ბოწოწიან ქუდებში, ბაელ, ნახევრად პოლიარულ ღამეებში, გამძაფრებულ, ცივ ქარით ჩაყინულ თვალებით, შესცქეროდენ ისინი ნესტორს, რომელიც ჩვეულებრივად დინჯად სჭრიდა საკითხს...

— ჩვენ უნდა შევიჭრათ კაჩუგის, ზნამენკის და ვერხოლენსკის რაიონებში და შემდეგ წავიდეთ პირდაპირ ირკუტსკის ასაღებად!

— დიდებულია!

— სხვაფრივ არც შეიძლება! — უმატებდენ სხვები.

— ძმებო! სოფელ ოლონკის შენარჩუნება ჩვენ ახალს არაფერს შეგვმატებს... პირიქით კვალ და კვალ თუ არ მივსდიეთ მათ დაშლილ ნაწილებს საფრთხე ჩვენ ყოველთვის, ყოველ ნაბიჯზე გვექნება!

— სწორია! სწორია!

— ამიტომ. ამხანაგ ვოლკონსკის ვაძლევ წინადადებას ყველა პარტიზანები მზად იყოლიოს. წინსვლა უნდა განვაგრძოთ ღამის ორ საათიდან, თუ გარემოებამ ხელი არ შეგვიშალა!

და ასე: მსჯელობდენ ისინი გალაშქრებასთან დაკავშირებულ საკითხების ირგვლივ და ზანტად ექაჩებოდენ სქელ ქაღალდში შეხვეულ თუთუნს.

ბოლი მიიწევდა ზევით და მათ სახეს ნისლივით ფარავდა...

ერთ ერთ კუთხეში მიწოლილიყო რამოდენიმე პარტიზანი. ისინი ზანტად იფხანდენ წვერიან თავს და ნახევრად სველ ქურქში გახვეულნი ღიმილით ერთიანეთს ემასხრებოდენ.

მათ შორის იყო ახალგაზრდა იური, რომელსაც სახე ახალგაზრდობის ნაზ ბუსუსებით ქონდა დაფარული და თვალები მუდამ ნისლიანი, როგორც ეს ციმბირის ბნელი, გაყინულ ტუნდრებში აშრიალებული სივრცე...

მას კედელზე მიუხატავს პოლკოვნიკი ლურჯ შარვალით, ოქროსფერ აშიებით აბრჭყვიალებული, თვალებ დასიებული, ბელატი და ორსული ქალები... და ამაზე ისინი უდარდელად ხარხარებდენ, იფურთხებოდენ და გულის მოსაფხანად იგინებოდენ...

გარეთ კი ღმუოდა ქარი. ეხეთქებოდა სადგომებს, ჭიხვინებდენ ცხენები და ისმოდა შეძახილი...

და მიწაზე ეყარა ალმასის რთვილი... შრიალებდა ქარი გაყინულ მიწაზე და შორიდან, უსაზღვროებიდან თოვლში მოსჩანდა შავად ჩამოტირებული ხეები...

ცა შავად იყო აბოლებული და აფუძული ღრუბლები მიქონდა ქარს.

და ასე ხშირად ნისლებში, ბურში ჩამოწვებოდა ცა და მუცელ გამოფატრული ყრიდა თოვლს. უსაზღვროებიდან ბღაოდა არტილერია, კაკანებდენ ტყვიამფრქვევები და მდინარეებს ცხენების დგაფუნით გადადიოდა ცხენარმია.

მაგრამ ეხლა ისინი; დაღლილი—დაქანცულნი ზოგი იატაკზე გაწოლილი, ზოგი ჯერ კიდევ თბილ ღუმელზე ამძვრალი უსმენენ თუ, როგორი სიმძაფრით ქრის გარეთ პოლიარული ქარი და ვიწრო სარკმელიდან შესცქერიან თუ როგორ ეშვება დაბლა ნაცრისფერი, ბურუსიანი ცა...

* * *

უცებ ზიტიჩმა თითქმის შემოამტვრია კარები და იმ სისხო ადამიანი პირდაპირ თვალებში ჩააშტერდა ნესტორს...

— ამხანაგო ნესტორ! ალექსანდროვსკიდან გამოგზავნილი თეთრების ჯარი გვიახლოვდება! რას იტყვით!

ის ერთი წუთითაც არ დაბნეულა. ოდნავადაც არ ათრთოლებულა მტრის მოახლოვების შიშით... ოდნავადაც არ შეუხრია წარბი. წამოდგა, თითქოს ბრძოლა მოწყურებულიყოთ, თვალები მეტად აენთენ და მკერდი უჩვეულოდ აუსუნთქდა. ამ სუნთქვაშია ბრძოლების მთელი სიმძიმე და გამბედაობა.

— ეხლა, ამხ. ზიტიჩ გამარჯვებამდე იმას ვიტყვით, რასაც ჩვენი მქუხარე ზარბაზნები! დაუძახე ბიჭებს.

— მესმის!

ზატიჩი გარედ გავიდა.

ნესტორი წუთით ჩაფიქრდა. მერე აიღო ხელში ერთგული თოფი, მოტრიალდა და ჩქარი ნაბიჯებით დასტოვა ოთახი.

და გარეთ: ატყდა საყვირის განგაში, ცხენების ჭიხვინი, ძახილი, ზარბაზნების ყრუ ხმაური... ყველაფერი ერთმანეთში აირია..

— ქუდზე გავანადგურებთ!

— იძლევი ირკუტსკს! — ისმოდა ხმები.

სადგომებიდან გამორბოდენ სველ, დაძონძილ ფარაჯებში პარტიზანები...

— ამხანაგ ზიტიჩს ევალება მტერზე მოულოდნელი თავდასხმა ზურგის შემოვლით! სთქვა ნესტორმა.

— მესმის!—იყო მოკლე პასუხი.

— ვოლკონსკი მარჯვენა ფლანგით!

— მესმის!

— აბა ბიჭებო! ვიაროთ წინ!

დაიძახა ნესტორმა და ახალ გამარჯვების მოსაპოებლად გაუდგნენ ფრონტისკენ, საიდანაც ჯერჯერობით ქარი უსტვენდა და არავინ სჩანდა.

* * *

ზიტიჩი მიდიოდა წინ.

ყავისფერ ცხენს ძლივს იმაგრებდა და განდაგან მიტორავდა შარას.

მას ამხანაგ ნესტორმა დაავალა მტრის უკან შემოვლა. რჩეული ბიჭები ახლავს თან და მას არაფრის ეშინია.

შრაპნელები ლურჯად გაბზინვებულნი სკდებიან სივრცეში... საიდღანაც გამწარებით კაკანებს ტყვიამფრქვევი...

ყუმბარა ღრიალით, ზათქით, ქუხილით დაეცემა სადმე ჯარ და ჯარ შუა და მიწასთან ასწორებს ყოველივეს...

— მაგრათ გვიტევენ!—ეუბნება იური ნესტორს...

— არაფერია, ყოჩაღათ იყავით! წინ!

ნესტორის ხმა ჰკვეთს უიმედობის შიშს და რაზმი გამანადგურებელ შეტევას აწყობს...

ისევ და ისევ აქუხდება ქვემეხი უსაზღვროებიდან. ისევ და ისევ ეცემა ყუმბარა და მიწას, თოვლს, საკუთარ ნამსხვრევებით ისვრის ჰაერში...

აგერ ვიღაც დაიჭრება მკლავებში და წელ მოღუნული თხრილისკენ გარბის. მკლავებიდან სისხლი სდის და თოვლში წითელი ზოლივით მიყვება ნაჭუსლარს.

ნესტორი დიდხანს უყურებდა ზიტიჩს, რომელიც შემდეგ თვალს ამოეფარა.

ამ უზარმაზარ სივრცეში არავინ სჩანს და ამ თეთრი სივრცის უდაბურებაში კი გაისმის გამაყრუებელი ბღავილი არტილერიის, თოფების...

რაზმი მიიწევდა წინ თხრილებით, ბუჩქებ შორის გადარბენით...

უფრო და უფრო ნათლად სჩანს მტრების ჩასაფრებული ნაწილი... აი თუ გინდ აგერ, ბუჩქებთან სდგას ვიღაც თეთრ ბოწოწიან ქუდით (ოფიცერი თუა!) ნესტორმა აიღო ნიშანში, იქუხა თოფმა და თეთრი ქუდი ბუჩქებში ჩავარდა...

ისევ და ისევ ისმის ტყვიების წივილი... ყუმბარების გმინვა...

— ყოჩაღ! ერთი კიდევ! ერთი კიდევ! პირდაპირ სანგრებზე ასკდება ტყვიები - ამხნევებდა ნესტორი ტყვიამფრქვევს...

და უცებ თხრილებიდან გამოფორთხდა იური, რომელსაც ფეხი მომტვრეოდა და სხეულს ძლივს მოათრევდა თოვლში... მას ყუმბარის ნატეხი წელში ჰქონდა გაჩრილი და იქიდან მოსჩანდა ჩალეხილი ნეკნებიდან გამოჟონილ სისხლით დასვრილი პერანგი.

მოფორთხავდა ის და თან ხელს იფარებდა, მაგრამ ჭრილობა ტკიოდა საშინლად და სისხლი მაინც სჩქეფდა. იწურებოდა სხეული თანდათან. ბოლოს მიფორთხდა ბუჩქთან, წამოჯდა, მაგრამ ეხლა სხვა ტყვიებმა გადახაზეს სივრცე...

ბუჩქს ჩეჩქივით დააყარეს ტყვიები და ტანდაცხრილული მიწვა იქვე.

მაგრამ ამ დროს არ ეძინა ზიტიჩს. სრულიად მოულოდნელად მოხდა ეს...

ხელსასროლებით აფეთქდა მტერთა სანგრები და განუწყვეტელმა ძლიერმა ცეცხლმა დააფრთხო თეთრების რაზმი.

ყუმბარები ისევ და ისევ ქუხდენ და ამ ქუხილში შურდულივით შეიჭრა მათ რიგებში ნესტორი და პირველი რგოლი მთლიანად აკაფა:

დაშლილი ნაწილები თეთრებისა ორ ცეცხლ შუა მომწყვდეულნი მიაწვნენ მარცხნივ, მარჯვნივ და უსუსური სროლით დაიხიეს უკან.

და მერე: ხეების იქით ავარდა ცეცხლის ლურჯი ენები. ეს თეთრებმა დასწვეს რამოდენიმე ოჯახი.

და კიდევ: თვალებ აბრწყინვებული, ბრძოლის ცეცხლით ფერგაკრული ზიტიჩი თვალისპირ შეხვდა ნესტორს და გაერთიანებით დაედევნენ თეთრებს, მაგრამ მათ უკვე ძალა არ ქონდათ...

არჩილ ჩაჩიბაია.

დაძველდა, რომ ქარის ყოველ მძლავრ შემობერვაზე იგი საფუძვლამდე ირყევა, გგონია, რომ იგი ეს-ეს არის დაიქცევა და ნანგრევებ ქვეშ მოიტანს გამვლელებსო.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ სახანძრო დაცვას ქაოტიურ მდგომარეობაში მოუსწრო. ცეცხლთან ბრძოლა ფუჭი ბრძოლა იყო.



და დგას კიდევ, რაღაც გაუგებრობით, სახანძრე კოშკი, რომლის ჰორიზონტი დღითი დღე იზღუდება...

რამდენიმე წლის განმავლობაში მდგომარეობა ძირიანად შეიცვალა. ერთი სახანძრო რაზმის ნაცვლად, ქალაქში კიდევ დაარსდა სამი რაზმი, აღჭურვილი მექანიური სახანძრო ქარავანით. სახანძრო საქმის რაციონალიზაცია დაკავშირებულია კვალიფიციურ ოსტატთა კადრების შექმნასთან. და ეს კადრები საკმაო რაოდენობით იქმნებიან.

სახანძრო რაზმები პირდაპირი მავთულით უერთდებიან მთელ რიგ უდიდეს საწარმოებს. ახლო მომავალში შემოღებული იქნება ტელეფონის სიგნალიზაცია მილიციის საგუშაგოებზე... „პოეტური" კოშკი თანდათან უფრო იშვიათად ამართლებს თავის დანიშნულებას. ძველ სახანძრო კოშკს ბოლო ელება, ისევე, როგორც ბოლო ელება ხანძრებს, რომელნიც ერთ დროს მთელ ქალაქებს ანადგურებდნენ.

ა. ჩამოსული.

ჩვენი ფოტო-ქრონიკა

„კახეთის მაზრის აფთიაქების მომუშავეთა" კონფერენციის მონაწილენი.



შალეულობის ფაბრიკის შენობა დიდუბეში (თბილისი).



რაჭა-ლეჩხუმის ხე-ტყის სახერხი ქარხანა ქუთაისში.— ახლად დადგმული მანქანა.

ქუთაისის მუშკოოპის წითელი სასადილო.

მტკვარის ნაპირების გამაგრება ბორჯომთან.



ტყიბულის მაღაროებში. — ნახშირის გამოზიდვა გვირაბიდან.

რედაქტორი — სარედაქციო კოლეგია. რედაქციის მისამართი — კამოს ქ. № 68.

,,საალდგომო‘‘ მზადება

— გავიგე რომ თურმე საალდგომოთ ემზადები!

— დიახ ვემზადები, აღდგომის საწინააღმდეგო კამპანიის ჩასატარებლად!

აუცილებელი ნაცნობობა

— კაცო, როგორ მოეწყო შენი ცოლი ბუხჰალტრათ, როცა ბუხჰალტერიას სრულიად არ იცნობს?..

— სამაგიეროთ, შე კაცო, იმ დაწესებულების გამგეს იცნობს!

გასავლიანი საქონელი

— ერთი ეს მითხარი, თუ ძმა ხარ, თქვენს კლუბში რას უფრო აქვს გასავალი—თეატრს თუ კინოს!..

— არა ჩემო ძმაო! ყველაზე მეტი გასავალი აქვს ღვინოს!..

„მუშტარს“ არ აფასებს!

— მაპატიეთ ამხანაგო მოსამართლევ, მეტს არ ჩავიდენ!

— როგორ? თქვენ ქურდობის მეათე რეგისტრაცია გაქვთ და კიდევ გაპატიოთ?

— სწორედ მაგიტომ მაპატიევით, როგორც თქვენს მუდმივ კლიენტს!...

ყველაზე დიდი საშინელება!

— რა იყო კაცო, რა ამბავია?...

— როგორ თუ რა ამბავია, ხანძარი კინაღამ გაგვიჩნდა?

— ეე! შე კაცო! თქვენ კი ისეთი ამბავი შექენით თითქოს რევიზია მოსულიყოს!

მართლაც იშვიათი წიგნი



— ეს რა წიგნი გიყიდია?

— ოო! ეს ისეთი წიგნია, რომ მთელ ქალაქში ვერსად ნახავ, სანთლით ეძებენ დაწესებულებებში!

— მაინც რა წიგნია ასეთი?

— „საჩივრის წიგნი“!

უიმედო იმედი



— ხედავ! ივან ზახარიჩი ეს ერთი თვეა სულ ცხვირაწეული დადის, მგონი გადიდკაცებულა!

— არა! ჰაერში იყურება, იქნებ ინგლისის ჰაეროპლანი გამოჩნდესო!

მოგება-წაგების ანგარიში

— იცი! ამ ჩემს სავაჭროს არავითარი მოგება არ მოაქვს ჩემთვის, სულ ვაგებ და ვაგებ!

— მასე თუა რატომ არ დაკეტავ?

ეეე! რას ამბობ! რომ დავკეტო მერე ფული რით ვიშოვო!

ჩვეულების ბრალია!

— კაცო რა იქნა აქ კედელზე გაკრული პლაკატი „უფრთხილდით ქურდებს“-ო?..

— ალბად ქურდებმა თუ მოიპარეს!

,,კულტურული‘‘ მკითხველები

— როგორ ეტყობა, რომ თქვენს სამკითხველოში იშვიათად კარგათ ეპყრობიან მკითხველები წიგნებს!

— როგორ, რაზე ატყობთ?

— იმით რომ არც ერთი წიგნი დაჭრილი და გადაფურცვლილი არაა!

რესტორანში

— ამხანაგო! დამისხით ერთი ჭიქა არაყი ან კონიაკი!

— უკაცრავად! კოოპერატივი კი არ არის, რომ მაგარი სასმელები გავყიდოთ...

რატომ გაჩუმდა

— კაცო, რა მოუვიდა შაქროს, რომ ხმას აღარ იღებს. წინათ კრება ისე არ იქნებოდა, რომ კრიტიკით არ გამოსულიყო, ეხლა კი სულ ჩაჩუმდა. რა მიზეზია?

— დააწინაურეს... ა. გ.

ძველ ადგილზე

— გაიგე? ჩვენს გამგეს ისევ თავისი ძველი ადგილი მიუჩინეს!

— მაინც სად?

— გამსახლში!

,,საპატიო უფროსი‘‘

— გუშინ უფრო კარგ დროს გავატარებდი შენსას, რომ იქ ჩემი უფროსი არ ყოფილიყო!

— როგორ! განა შენ კიდევ გყავს ვინმე უფროსი?

— როგორ არა. ცოლი!

ჩვეულების მსხვერპლი

— ხედავ? მუშტაძემ თავი გაუტეხა ჩაქუჩით კვრეხაძეს და ეს უკანასკნელი კიდევ გახარებულია!

— რატომ არ იქნება გახარებული, დამზღვევ სალაროში იკითხოს თორემ!

,,გეგმიანი‘‘ ხალხი

— გაქვთ თუ არა თქვენ კლუბის მუშაობის საზაფხულო გეგმა?

— მუშაობის გეგმა არა გვაქვს, ხოლო სამაგიეროთ ჩვენი კლუბის გეგმა კი გვაქვს!

„ერთგული“ თანამშრომელი

— ამხანაგო! ამდენი ხანია საქმე გადმოგეცით და იმის მაგივრად, რომ განყოფილებისათვის გადაგეცათ თქვენ მას ჯიბით ატარებთ!

— მაშ როგორ გინდოდა! რომ გადამეცა ხომ დაიკარგებოდა?

„პრაქტიკიდან“

ამბობენ: კოოპერაცია გზაა სოციალიზმისაკენო. ტყუილია. პრაქტიკამ დაგვანახა, რომ კოოპერაცია გზა ყოფილა გამსახლისაკენ. ა. გ.

სამართლიანი დარდი



— რატომ ტირი ბიჭიკო?

— მამა დამეკარგა! წელან აქედან ამოვიდა და უჩემოთ სახლს როგორღა მიაგნებს!....

მთავლიტი № 702. ტირაჟი 3970. პ/ტ მე-5-ე სტამბა. გაზ. „კომუნისტის“-ს გამომცემლობა.